1239
2011

გაზეთი - 120

საქართველოს ბიბლიოთეკა

ISSN 1512-0880
№4 (45)-2011

საქართველოს ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელ.: 297-16-83

ჟურნალის რედაქცია:
აღექსანდრე ღორია
- მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი
- მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
გულნარა სტურუა
- სამეცნიერო-მეთოდური და
კორესპონდენტებთან მუშაობის
რედაქტორ-კოორდინატორი

ინდსაწარმო „ალი“
დამფუძნებლები: საქართველოს
პარლამენტის ილია ჭავჭავაძის
სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკა; საქართველოს
საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ



საქართველოს ბიბლიოთეკა № 4 (45) – 2011

შინაარსი

ბიბლიოთეკა და ინფრასტრუქტურა 4

ბიბლიოთეკათმცოდნეობის ისტორია

გურამ თაყნიაშვილი – ბიბლიოთეკათმცოდნეობის პირველი კერა საქართველოში 6

კორესპონდენციები

ლალი გოქაძე – ვაჟა-ფშაველას სადიდებელი 8

ლია მურვანიძე–ვადაჭკორია – ჩვენი ბიბლიოთეკა 9

ნათელა ნათლიაშვილი–კვინიკაძე – „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ 12

ღირსეული წინაპრები

იური სიხარულიძე –

1. დიმიტრი ერისთავი 15

2. ლავრენტი ჩოხატაურელი 16

იუბილე

გულნარა სტურუა – უილიამ თეკერეი – 200 18

თინათინ იოსავა – სოფრომ მგალობლიშვილი – 160 19

ინფორმაცია

უცხოელ მეცნიერთა საპატიო წოდებების მინიჭება 23

„ვიკიპედია“ დღეს და მომავალში 25

ჩვენი შემოქმედება

მურად მიგრიაული 26

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა 28

საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების კალენდარი 30

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 4 (45) – 2011

СОДЕРЖАНИЕ

Библиотека и инфраструктура 4

История библиотековедения

Гурам Такниашвили -- Первый очаг библиотековедения в Грузии 6

Корреспонденция

Лали Гокадзе -- Прославление Важи-Пшавелы 8

Лия Мурманидзе-Вадачкория -- Наша библиотека 9

Натела Натлиашвили-Квиникадзе -- У всех имеется что-нибудь в памяти 12

Достойные предшественники

Юрий Сихарулидзе --
1. Димитрий Эристави 15

2. Лаврентий Чохатаурели 16

Юбилеи

Гульнара Стуруа -- Уильям Теккерей -- 200 18

Тинатин Иосава -- Сопром Мгалоблишвили -- 160 19

Информация

Присвоение почетных званий зарубежным учёным 23

«Википедия» -- сегодня и в будущем 25

Наше творчество

Мурад Мигриаули 26

Хроника

Библиотечная жизнь Грузии: События, факты 28

Календарь памятных и юбилейных дат 2012 года 30

THE LIBRARY OF GEORGIA № 4 (45) – 2011

CONTENTS:

Library and Infrastructure 4

History of Library Studies

Guram Taqniashvili – The Cradle of Library Studies in Georgia 6

Correspondence

Lali Gokadze – A Eulogy for Vazha-Pshavela 8

Lia Murvanidze-Vadachkoria – Our Library 9

Natela Natliashvili-Kvinikadze – Everyone Has Something to Recall 12

Praiseworthy Ancestors

Iuri Sikharulidze –
1. Dimitri Eristavi 15

2. Lavrenti Chokhataureli 16

Anniversary

Gulnara Sturua – William Thackeray – 200 18

Tinatin Iosava – Soprom Mgaloblishvili – 160 19

Information

Foreign Scholars Awarded Honorary Titles 23

Wikipedia: Today and Tomorrow 25

Our Works

Murad Migriauli 26

Chronicle

The Chronicle of the Georgian Library Life 28

The Calendar of Anniversaries and Important Dates 30

ბიბლიოთეკა და ინფრასტრუქტურა

„ინფრასტრუქტურა“ ქვეგანლაგებას, აგებას ნიშნავს და მეურნეობის კომპლექსის გაგებასთანაა დაკავშირებული, რაშიც, ძირითადად, ყველაფერი იგულისხმება, რაც სამრეწველო და სასოფლო–სამეურნეო წარმოებას ემსახურება (გზატკეცილები, არხები, წყალსაცავები, ხიდები, ჰაეროდრომები, რკინიგზები, სხვა ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ა.შ.). ნიშანდობლივია, რომ ის თავდაპირველად სამხედრო ტერმინოლოგიას განეკუთვნებოდა და გულისხმობდა ზურგის ნაგებობების კომპლექსს, რომელიც უზრუნველყოფდა შეიარაღებული ძალების მოქმედებას. ამ კომპლექსზე დიდად იყო დამოკიდებული სამხედრო წარმატებები საბრძოლო წინახაზზე (ქსე).

თანდათან ტერმინის გაგება გაფართოვდა და სავსებით სხვაგვარი ასპექტით დამკვიდრდა ცხოვრებაში. ის დაუკავშირდა როგორც საწარმო, ისე არასაწარმო (სოციალური) დარგების გაგებასაც. თუ პირველი სფერო (ჯგუფი) მატერიალურ ნაწარმს ქმნის, მეორე – სოციალური – უშუალოდ არ არის დაკავშირებული მატერიალურ წარმონაქმნთან, მაგრამ მის გარეშე პირველი ჯგუფის დარგები უძლური იქნება აქტიური განვითარებისათვის (კადრების მომზადება, ჯანმრთელობის დაცვა, მეცნიერება, კულტურა და სხვ.).

თუ გავიხსენებთ ამ ტერმინის პირვანდელ გაგებას – ზურგის ნაგებობათა კომპლექსს, ეს გულისხმობს იმას, რომ ბრძოლის დროს აუცილებლად უნდა გქონდეს ზურგის მძლავრი დახმარების იმედი. თანამედროვე თვალსაზრისით, ეს შეიძლება ავხსნათ იმგვარად, რომ თუ არ იქნა წარმოების მხარდამჭერი და ხელშემწყობი საშუალებები, შეუძლებელია წარმოებამ და სოფლის მეურნეობამ რაიმე შესამჩნევ წარმატებას მიაღწიოს. ცხადია, თუ არ იქნა გზები, არხები, ელექტროფიკაცია, ტრანსპორტი, მშრომელთა სოციალური დაცვა, დასვენების, სწავლა–განათლების და სხვა საშუალებები, ვერავითარ შესამჩნევ წარმატებას ვერ მივაღწევთ ეკონომიკის დარგში.

სადავო არაა, რომ სოციალური სფეროს დარგების მაღალწარმადობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

სწორედ ეს ითქმის ქვეყნის მთელ კულტურულ სფეროზე და, კერძდ, საინფორმაციო–საბიბლიოთეკო საქმეზე, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ინფრასტრუქტურის, ისე უშუალოდ საწარმოს სფეროს განვითარებას.

თუ ღრმად ჩავიხედავთ საბიბლიოთეკო საქმის არსში, დავინახავთ, რომ ის ძირფესვიანადაა დაკავშირებული კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და წარმოების დარგებთან, მაშასადამე, ყოველივე იმასთან, რაზედაც არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება. საყოველთაოდ მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ თუკი დარგი უზრუნველყოფილია საინფორმაციო–ბიბლიოგრაფიული და საბიბლიოთეკო მომსახურებით, იქ მიღწევების დონეც მაღალი და წარმადულია.

ცხადია, საქმე იმაშიცაა, რამდენად მაღალხარისხოვანია ეს უზრუნველყოფა, რამდენად მოწესრიგებული, ორგანიზებული და მატერიალურ–ტექნიკური პირობებით აღჭურვილი. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიგულისხმოთ ბიბლიოთეკა და მისი საქმიანობა.

სამწუხაროდ, ჩვენში ბიბლიოთეკა მმართველ წრეებში წარმოდგენილი აქვთ საკმაოდ არქაულად – თითქოს ბიბლიოთეკა ამჟამადაც წიგნების თავმოყრისა და საზოგადოებრივი სარგებლობის პასიური დაწესებულებაა. ფაქტობრივად, არ ცნობენ მის ახალ კონცეფციასა და ფუნქციებს (ან არ იცნობენ, საერთოდ), არ მიაჩნიათ ის საინფორმაციო ცენტრად, როგორც ეს საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის კანონშია გაცხადებული, და ამიტომაც სავსებით მოუფიქრებლად მხარს უჭერენ მათ მასობრივ გაუქმებას, ამით ასევე უხეშად არღვევენ ხსენებულ კანონს, რომელიც მოითხოვს ყოველი დასახლებული პუნქტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებით უზრუნველყოფას.

ისიცაა სათქმელი, რომ ჩვენი ქვეყნის საბიბლიოთეკო სისტემაში მრავალ რეგიონში ბიბლიოთეკები აუწერელ მძიმე ფიზიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, არც მუშაობის დონე იყო სათანადო. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ხელისუფლებამ მათზე სავსებით აიღო ხელი. მაგრამ, ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს პრობლემის „წარმატებით“ გადაჭრას. იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას ეზრუნა მათ გაუმჯობესებასა და მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე, დაუშვა მათი თითქმის სრული ლიკვიდაცია და ამით, ერთგვარად, ბიბლიოთეკების პრობლემებიც თავიდან მოიცილა, ამრიგად, ზოგიერთ რეგიონში ბიბლიოთეკები მთლიანად ამოვარდნენ ამ მხარის ინ-

ფრასტრუქტურიდან.

რა მივიღეთ შედეგად?

ჩვენი სოფლების უმრავლესობა ისედაც არ იყო განებივრებული რაიმე კულტურულ–საგანმანათლებლო მომსახურებით და ახლა მთლად დაცლილი დარჩა ამ სფეროდან. კარგი ბიბლიოთეკა სოფლის მშვენებაა. საერთოდ, მიაჩნიათ, რომ ბიბლიოთეკის მიხედვით შეიძლება ივარაუდო, რა ხელმძღვანელობა ჰყავს სოფელს და რას წარმოადგენს ამ სოფლის მოსახლეობა.

იქ, სადაც სოფელმა მოახერხა თავისი თავგამოდებით შეენარჩუნებინა ბიბლიოთეკა, მდგომარეობა, კულტურულ–საგანმანათლებლო თვალსაზრისით, სხვასთან შედარებით, გაცილებით უკეთაა, ეს ბიბლიოთეკები მონაწილეობენ საბიბლიოთეკო კვირეულებში, აწყობენ გამოფენებსა და სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებებს, კრეფენ ინფორმაციას, მართავენ შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან, პრეზენტაციებს, ეწევიან მხარეთმცოდნეობით მუშაობას, ეგებებიან ღირსშესანიშნავ და საიუბილეო თარიღებს, კრებენ თავის ირგვლივ სოფლის მოწინავე ადამიანებს, ავლენენ შემოქმედ ახალგაზრდებს, საღამოებზე ახდენენ მათი ნაწარმოებების კითხვა–განხილვებს. ზოგი ბიბლიოთეკის თაოსნობით, კიდეც ქვეყნდება მათი ნაწარმოებების კრებულები, გამოიცემა წიგნები მოცემული მხარის შესახებ, იბეჭდება სტატიები ამ ბიბლიოთეკისა და აქტიურ მკითხველებზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს საზოგადოებაში ურთიერთობის საქმიანობის გამოცოცხლებასა და გაძლიერებას, სოფლად კულტურული ატმოსფეროს შექმნას, რაც თავისთავად გარკვეულ როლს თამაშობს ინფრასტრუქტურის შექმნაში.

დასახლების ინფრასტრუქტურა ბიბლიოთეკის გარეშე საკმაოდ მწირად გამოიყურება, ეს მეტყველებას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მოღვაწეობისა და თვით მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებათა და ინტერესების დაბალ დონეზე. ეს უარყოფითად მოქმედებს რეგიონის გარემო პირობებზე, ხელს უშლის მცხოვრებლების ინტერესების გაფართოებას, ინფორმაციულობას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების, კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სოფლად ახალგაზრდების დამკვიდრებას და აქ შესაფერისად დასაქმებას, საკუთარი სოფლისა და მხარის შესწავლას და ა.შ.

ცხადია, ბიბლიოთეკის დადებითი ზეგავლენა ინფრასტრუქტურაზე უშუალოდ ბიბლიოთეკის შედეგად არ ხდება, მაგრამ სხვა ფაქტორებთან ერთად, მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ეს ფაქტორებია: სკოლა, ბაგა–ბაღები, სანიტარულ–ჰიგიენური პირობები, სამედიცინო მომსახურება, ურთიერთკავშირი სხვადასხვა რეგიონებთან, ტელე–რადიომომსახურება, კომპიუტერიზაცია, შემოქმედებითი ატმოსფერო, ერთმანეთთან შეხვედრებისა და აზრთა ურთიერთგაზიარების მოთხოვნილება, ინტერესის არსებობა ინფორმაციისადმი, ხელისუფლების ორგანოების მოქნილი საქმიანობა და ყურადღება პრობლემებისადმი, ინტერესი პერსპექტივისადმი, ტექნიკური საშუალებების დანერგვისადმი მიდრეკილება და მრავალი სხვა.

ბიბლიოთეკა ამ პირობებში, შეიძლება ითქვას, გადამჭრელ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ამდენად აქვს მას დიდი როლი რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ინფრასტრუქტურის არსის მხოლოდ გზებისა თუ კანალიზაციის, სასტუმრო–სავაჭროების განვითარებამდე დაყვანა ამ მოვლენის უვიწროეს გაგებამდე დაყვანას ნიშნავს, რაც ან საქმის არცოდნითაა გამოწვეული, ან გაუგებრობით. ინფრასტრუქტურიდან განათლების, მეცნიერების, მედიცინის, კულტურის, ხელოვნების, სპორტისა და საზოგადოების სხვა მამოძრავებელი ძალების გამოთიშვა ქვეყნის მხოლოდ ცალმხრივ წარმატებებს თუ მოგვცემს, თორემ მთლიანობაში ის სავსებ ით არაეფექტური იქნება. ამჟამად სწორედ ამ მოვლენას ვხედავთ, რაც საზოგადოების დიდ წუხილს იწვევს. ერთგვარი გაორების გრძნობა ისადგურებს იმის გამო, რომ ხალხს სრულიად არა აქვს წარმოდგენილი, რა უნდა გაკეთდეს საბოლოოდ, რას უნდა მივაღწიოთ, რა მიმართულებითა და გზით მივდივართ, კერძოდ, კულტურის დარგში; მაგალითად, როგორ უნდა გადაწყდეს საბოლოოდ სკოლისა და საჯარო ბიბლიოთეკის მექანიკური შერწყმა? ეს ისეთი განვლილი ეტაპია ჩვენში, რომ მისი მომსწრე ამჟამად არავინაა. ვინმეს შეუძლია დაასაბუთოს, რამდენად უკეთესია ეს იმასთან შედარებით, რაც იყო?

საერთოდ, სხვაც ბევრი შეკითხვა არის საბიბლიოთეკო სისტემასთან დაკავშირებით, რაზედაც, ბოლოს და ბოლოს, პასუხი ხომ უნდა მივიღოთ?

ვისგან უნდა ველოდეთ პასუხს?

ბიბლიოთეკათმცოდნეობის ისტორია

გურამ თაყნიაშვილი

ბიბლიოთეკათმცოდნეობის პირველი კერა საქართველოში

ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტი – 80

მე–19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ჩამოყალიბებული სახალხო ბიბლიოთეკების ქსელი და უძველესი დროის ეკლესია–მონასტრებთან არსებული ბიბლიოთეკების რაოდენობა დღის წესრიგში აყენებდა საბიბლიოთეკო პროცესების მეცნიერული და მეთოდოლოგიური დამუშავების საკითხს. მე–20 საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში მოქმედებდა ოცამდე სამეცნიერო და სპეციალური ბიბლიოთეკა. ამავე პერიოდში თბილისში ჩამოყალიბებული იყო რამდენიმე საბიბლიოთეკო გაერთიანება, წრე, ასოციაცია, რომელთა მიზანს შეადგენდა საბიბლიოთეკო მუშაობის სხვადასხვა საკითხების კოლექტიური დამუშავება.

კაბინეტის გამგე ნ. ლორთქიფანიძე თანამშრომლებთან ერთად, 1936 წელი

საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის თეორიული საფუძვლების ფორმირების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა თბილისის სკოლისგარეშე განათლების სახლთან 1923 წელს დაარსებულმა საბიბლიოთეკო–საბიბლიოგრაფო კაბინეტმა. კაბინეტის მუშაობის ერთ–ერთ მიმართულებად მიჩნეული იყო „საბიბლიოთეკო საქმის მოწესრიგება საქართველოს ყველა ბიბლიოთეკაში, პარალელიზმის მოსპობა და ისეთი ავტორიტეტის დამკვიდრება, რომელიც ხელს შეუწყობდა მისი ავტორიტეტის ზრდას ბიბლიოთეკათმცოდნეობის საკითხებში“ (1,17). კაბინეტის დამაარსებელმა, საბიბლიოთეკო საქმის ცნობილმა ორგანიზატორმა ივანე ციციშვილმა შეძლო კაბინეტის საქმიანობაში მიეწვია ისეთი ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ: დ. კარიჭაშვილი, გ. წერეთელი, გ. გეხტმანი, მ. პოლიევქტივი, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ბაქრაძე, ვ. ბროსე და სხვები. კაბინეტმა თავისი მუშაობის მოკლე პერიოდში (1923–1929 წ. წ.) შეძლო დაეარსებინა პირველი საბიბლიოთეკო კურსები, სადაც ასევე პირველად იქნა წაკითხული ლექცია ბიბლიოთეკათმცოდნეობაში (ნ. ლორთქიფანიძე), კაბინეტმა გამოსცა პირველი სპეციალური ჟურნალი „წიგნის მეგობარი“ (1925), რომელიც მაშინათვე დაიხურა, მაგრამ მასში გამოქვეყნებული სტატიების ერთი ნაწილი მეთოდოლოგიურად განიხილავდა საბიბლიოთეკო მუშაობის საკვანძო საკითხებს. როგორც ცნობილია ამ პერიოდში რუსეთში მიმდინარეობდა მწვავე კამათი ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც მეცნიერული დისციპლინის გარშემო. ცხადია, საქართველოშიც გარკვეული მუშაობა მიმდინარეობდა ამ ამ მიმართულებით. 1929 წელს დაიხურა ზემოაღნიშნული კაბინეტი და ამით დასრულდა საბიბლიოთეკო პროცესების კოლექტიური დამუშავების პროცესიც. ამის შემდეგ დაიწყო „ჩუმი საქმიანობა ბიბლიოთეკების შიგნით“. ამავე პერიოდში საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს კოლექტიურად ამუშავებდნენ საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკები, სადაც პერიოდულად იმართებოდა საწარმოო თათბირები.

საქართველეოში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო საქმის მეთოდოლოგიურ კვლევას მეცნიერული ხასიათი მიეცა 1931 წლიდან, როდესაც საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკასთან წელს ჩამოყალიბდა ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტი. კაბინეტმა იმთავიდანვე ფართო ამოცანები დასახა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო პრაქტიკის კვლევის მიმართულებით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, როგორი იდეოლოგიის პირობებში უხდებოდათ ბიბლიოთეკებს მუშაობა, ცხადია, აღნიშნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაბინეტის საქმიანობაც დასაწყისშივე წარმართა იდეოლოგიური წნეხის ქვეშ, პარტიულობის პრინციპის განუხრელად გატარების პირობებში. კაბინეტის კონცეფციას და სამოქმედო გეგმას აშკარად ატყვია კომუნისტური იდეოლოგიის გავლენა, და ცხადია, სხვაგვარად ვერც მოხერხდებოდა საქმიანობის გაშლა. კაბინეტის სამოქმედო გეგმაში ასეთი სახით არის ფორმულირებული მისი მუშაობის ძირითადი მიმართულებები: „ბიბლიოთეკათმცოდენობის კაბინეტი აწარმოებს იდეოლოგიურ ბრძოლას საბჭოთა ბიბლიოთეკა მცოდნეობაში ბურჟუაზიული ზეგავლენის წინააღმდეგ და უმძაფრესი თვითკრიტიკის გზით აფასებს საბიბლიოთეკო საქმის ყოველგვარ თეორიებს, რათა საჭირო შეფასება მისცეს იმ მემკვიდრეობას, რაც დაგვრჩა წარსულისაგან საქართველეოში საბიბლიოთეკო მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის სფეროში“. (2) კაბინეტის სამოქმედო გეგმაში იმთავიდანვე გამოიკვეთა ოთხი ძირითადი მიმართულება: 1. საბიბლიოთეკო საქმის საწარმოო საკითხების მეცნიერული დამუშავება; 2. ბიბლიოთეკათმცოდენობის დარგში სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის წარმართვა; 3. მეთოდური დახმარების გაწევა საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკებისათვის და 4. ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული სპეციალური ლიტერეტურის ორგანიზება, დაცვა და მეცნიერული დამუშავება. კაბინეტის პირველი რიგის ამოცანად დაისახა საჯარო ბიბლიოთების სამუშაო პროცესების შესწავლა, მათი უნიფიცირება და მეთოდური დამუშავება იმ პრინციპებითა და მიდგომებით, როგორც იგი წარმოებდა მაშინ საკავშირო მასშტაბით. კაბინეტი იმთავითვე გადაიქცა ბიბლიოთეკათმცოდენობის ლაბორატორიად. მისი პირველი გამგე 1931–1940 წ. წ. იყო ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდნე, საჯარო ბიბლიოთეკის სწავლული მდივანი ნიკო ლორთქიფანიძე. მისი ხელმძღვანელობით მეცნიერულ დონეზე დამუშავდა საბიბლიოთეკო თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, რომელთაგან პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ: საჯარო ბიბლიოთეკაში წიგნის დამუშავების ქრონომეტრაჟული გამოკვლევა და შრომის პროცესების რაციონალური მეთოდების შემუშავება, საბიბლიოთეკო დოკუმენტების კოლექტიურ ავტორზე აღწერილობის პრინციპების შემუშავება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილობის ეს ფორმა, კოლექტიური ანუ კორპორაციული ავტორობის დაცვით, შემდგომში მეტწილად დაინერგა კავშირის მასშტაბით. კაბინეტმა დაამუშავა ქართულ ენაზე საგნობრივი რუბრიკების ფორმულირების საკითხები, რამაც სათავე დაუდო საჯარო ბიბლიოთეკაში საგნობრივი კატალოგის აგებას. კაბინეტი მჭიდროდ თანამშრომლობდა მოსკოვის საბიბლიოთეკო ინსტიტუტთან, მისი დირექტორი, ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდნე ლ. ბ. ხავკინა სისტემატურად ადევნებდა თვალს თბილისში მიმდინარე სამეცნიერო–კვლევით სამუშაოებს; კაბინეტის მუშაობაში მონაწილეობდნენ: დ. მარკევიჩი, ლ. ეგორაშვილი, ი. ციციშვილი, გ. ბერძნიშვილი, ვ. ბროსე, თ. მაჭავარიანი, შ. გოზალიშვილი, ს. ეული–ქურიძე, მ. მელაძე და სხვ. კაბინეტმა მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა საქართველოში საბიბლიოთეკო კადრების მომზადების პრობლემა, აქ დამუშავდა პირველად საბიბლიოთეკო კურსების პროგრამა და სასწავლო გეგმა. კაბინეტის აქტიური თანამშრომლობით გამოიცა საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომების ხუთი ტომი (1934–1940); ალმანახ „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ ხუთი წიგნი 3 ტომად, სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკათმცოდენობის სპეციალისტისათვის (ფაკულტეტი დაარსდა 1938 წელს) და ცალკეული მონოგრაფიები, საბიბლიოთეკო პრაქტიკის კვლევის მასალები, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა მეთოდური წერილების სახით.

ბიბლიოთეკათმცოდენობის კაბინეტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა საქართველოს მთავრობის 1934 წლის დადგენილების საფუძველზე. ამ დადგენილებით განათლების კომისარიატის სისტემაში ჩამოყალიბდა საბიბლიოთეკო სამმართველო, როგორც საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელი ორგანო ქვეყნის მასშტაბით. 1936 წელს სამმართველოს ბიბლიოთეკათმცოდენობის კაბინეტი გადაიქცა რესპუბლიკურ დაწესებულებად. მას ეწოდა „ბიბლიოთეკათმცოდენობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის კაბინეტი“. ამ სტატუსით კაბინეტმა იარსება 1953 წლამდე. ამ პერიოდიდან იგი შეუერთდა საჯარო ბიბლიოთეკას. საჯარო ბიბლიოთაკასთან არსებული ბიბლიოთეკათმცოდენობის კაბინეტი ფუნქციონირებდა შეკვეცილი ფორმით, ძირითადად მისი საქმიანობა განისაზღვრებოდა საჯარო ბიბლიოთეკის შიგნით საწარმოო პროცესების მეთოდური დამუშავების კუთხით. საჯარო ბიბლიოთეკასთან ბიბლიოთეკათმცოდენობის კაბინეტის შეერთები ს(1953) შემდეგ მას ჩამოსცილდა სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის ფუნქციები და ეწოდა „ბიბლიოთეკათმცოდენობის სამეც-

ნიერო–მეთოდური განყოფილება". განყოფილება ახორციელებდა სამეცნიერო–მეთოდურ მუშაობას და პრაქტიკულ დახმარებას საქართველოს ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებისადმი. ამ ფუნქციებს ამჟამად ასრულებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკასთან არსებული ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების განყოფილება, რომლის ფუნქციები განისაზღვრება საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონებით: „კანონი საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" (1996) და „კანონი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ" (1997).

ლიტერატურა:

1. საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთელკის შრომები: – თბ., 1938 წ. – 4, გვ. 17.
2. საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივ–მუზეუმის მასალები, საქმე №166, ფ. 3–5.
3. საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა / შემდგ ა. კავკასიძე. – თბ., 1985. – 94 გვ.
4. თაყნიაშვილი გ. ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება საქართველოში – თბ.; 1989. – 150 გვ.

კორესპონდენციები

ლალი გოქაძე

თბილისის – 57 საჯარო ბიბლიოთეკის გამგე

ვაჟა–ფშაველას სადიდებელი

იუნესკოს მიერ წლევანდელი წელიწადი გამოცხადებული არის ვაჟას საიუბილეო წელიწადად. № 57–ე ბიბლიოთეკამ გადაწყვიტა ეზეიმა ეს თარიღი. შევუდექით მზადებას ბიბლიოთეკის მკითხველებთან და მოსწავლე–ახალგაზრდობასთან ერთად, ამ მზადებას თითქმის 3 თვე მოვანდომეთ, ვინაიდან ვაჟას შემოქმედება იმდენად დიდია და მრავალფეროვანი, ძნელია ამომწურავად გააშუქო ის. ამ თვეში სკოლის სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან ერთად, მოვახერხეთ, რომ ღონისძიებას მასშტაბური ხასიათი მიეღო.

ღონისძიებაზე დასასწრებად და სიტყვით გამოსასვლელად ბევრი მოსწავლე–ახალგაზრდა – ჩვენი მკითხველი გამოთქვამდა სურვილს; ამიტომ ღონისძიებას ერთი საღამო არ ეყოფოდა. მთელმა კოლექტივმა გადაწყვიტა, ჩვენი მკითხველებიდან შეგვერჩია ქალაქის ყველა სკოლის ერთი ან ორი მოსწავლე. ესენი არიან № 1 საჯარო სკოლიდან – მახარაძე თინათინი, № 52 საშუალო საჯარო სკოლიდან – ჩალაბაშვილი ელენე, № 102 საშუალო საჯარო სკოლიდან – სირაძე სოფო და მელაძე ნიკა, № 122 საშ. საჯარო სკოლიდან – ჩხაიძე თამარი, № 128 საჯარო სკოლიდან – კასრაძე ნუცა. გვინდოდა გამომსვლელი მოსწავლე–ახალგაზრდობის სახით დამსწრე მკითხველებისთვის გვეჩვენებინა, რომ აზრი იმას კი არა აქვს, ვინ სად და რომელ სკოლაში დადის – ქალაქის გარეუბანში თუ ქალაქის ცენტრში, მთავარია მონდომება და სწავლის სურვილი, რაც სიტყვით გამოსვლის დროს მოსწავლეებმა ნათლად გამოამჟღავნეს. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცოდნის გამოვლენაში, ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩვენგან მიცემულ წყაროებს კითხულობდნენ, ეცნობოდნენ, მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ არც ერთ მათგანს იმ წყაროებიდან პირდაპირ გადმოწერილი არაფერი ჰქონდათ. ისე თავისუფლად და ისე დამაჯერებლად საუბრობდნენ დიდი მგოსნის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ერთ-

მანეთისაგან სრულიად განსხვავებულად, რომ ჩანდა, მათ ძალიან ღრმად შეისწავლეს ვაჟა.

სტუმრად მოწვეული იყვნენ: ილიას უნივერსიტეტის ლექტორი მანანა ასათიანი, მთარგმნელი ლილი მჭედლიშვილი, პედაგოგი იზა სხირტლაძე, ჩვენი მკითხველები: ცნობილი ჟურნალისტი, საბავშვო პოეტი ზაზა ქინქლაძე, მწერალთა კავშირის თანამშრომელი ზაალ ბოტკოველი, მხატვარი და თოიძის სახ. სამხატვრო-სასწავლებლის პედაგოგი ამირან იოსავა, არქიტექტორი ზაზა ჯინჭარაძე, სოხუმის უნივერსიტეტის დოცენტი და ასოციაცია „ჯანმრთელი ბავშვების" პრეზიდენტი და ჟურნალისტი ანზორ ბერულავა, რომელიც ბიბლიოთეკის გამგე ლალი გოქაძესთან ერთად უძღვებოდა ღონისძიებას; აგრეთვე ესწრებოდნენ: მთარგმნელი ლილი მჭედლიშვილი, საამშენებლო ფაკულტეტის კათედრის გამგე და მწერალთა კავშირის წევრი პოეტი ალე გეგელიძე და სხვანი.



სიტყვით გამოვიდა მანანა ასათიანი, იზა სხირტლაძე. კობა არაბული, გიორგი არაბული, ზაზა ქინქლაძე, ალე გეგელიძე. თავიანთი შთაბეჭდილებებითა და მოსაზრებებით გამოვიდნენ საბიბლიოთეკო დარგის ცნობილი სპეციალისტები: ალეკო ლორია, გურამ თაყნიაშვილი, ცისანა ქოჩეჩაშვილი, ხვთისო მესხიძე, გულნარა სტურუა.

სოფო სირაძემ და ნეტა კასრაძემ საკუთარი ლექსები უძღვნეს ვაჟა–ფშაველას. ქალბატონმა გულნარა სტურუამ სპეციალისტთა სახელით აღნიშნა, რომ ყოველი ჩატარებული ღონისძიება იმედებს იძლევა, მომავალი თაობა მხოლოდ კომპიუტერს არ იკმარებს და აუცილებელ და სავალდებულო წიგნებსაც ეზიარება, რათა უფრო ფართო განათლება მიიღოს და გამართული გამოვიდეს ცხოვრების ასპარეზზე.

ლია მურვანიძე–ვადაჭკორია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭანჭათის ბიბლიოთეკის გამგე

ჩვენი ბიბლიოთეკა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის თემის მოსახლეობა (ქვემო აკეთი, ზემო აკეთი, ჭანჭათი, გაგური) სამართლიანად ამაყობს, რომ პირველი სახალხო წიგნსაცავი გურიაში აკეთში გაიხსნა. აი, რას წერს გაზეთი „ცნობის ფურცელია": „1892 წელს სოფ. აკეთში ბატონ არსენ წითლიძისა და ისიდორე რამიშვილის თაოსნობით დაარსდა წიგნთსაცავი სახელწოდებით „გურიის სახალხო წიგნთსაცავი". ეს ის დრო იყო, როდესაც მთელ გურიაში არცერთ სოფელში და სამაზრო ქალაქშიც კი წიგნთსაცავი არ არსებობდა. ამ ახლად დაარსებულ წიგნთსაცავს პირველ ხანებში შეძლებისდაგვარად, თითქმის უმეტესი ნაწილი მთელი გურიის

ინტელიგენციისა შემწეობას აძლევდა, ვინ ფულით, ვინ წიგნებით. გამგე წიგნთსაცავისა კონია ჭეიშვილი" („ცნობის ფურცელი". 1898).

გადმოცემის თანახმად, ბიბლიოთეკის გახსნის იდეა სწორედ აკეთის თემში, მაღალი საზოგადოების წრეში წარმოიშვა – თავდგირიძეთა ოჯახში; პოეტი მამია გურიელი ნარდს ეთამაშებოდა ნესტორ თავდგირიძეს. ნიძლევად დაუთქვამთ 5 მანეთი, რაც უნდა მოხმარებოდა ბიბლიოთეკის გახსნას. გარდა ამისა, ვინც თავს იყრიდა ხსენებულ სალონში, თუ ვინმეს რუსული ან სხვა უცხო სიტყვა წამოცდებოდა, უნდა გადაეხადა ჯარიმა, რომელიც მოხმარდებოდა წიგნსაცავის გაძლიერებას. გარდა ამისა, იყო შემოწირულობები და საქველმოქმედო ღონისძიებები.

ამ კეთილ საქმეში ყველამ, რითაც კი შეძლო, მონაწილეობა მიიღო. „ერთმა გლეხმა (ნიკო ქურიძემ), რომელსაც წიგნი თავის დღეში არ აუღია და წიგნთსაცავი საჭმელი იყო თუ სასმელი, არც კი იცოდა, რაკი დაარწმუნეს, ქვეყნისათვის სასარგებლო დაწესებულებაა, წიგნთსაცავისათვის სახლი ოთხი თუმნით ღირებულზე ნაკლებად დასთმო" – წერს დათიკო ვერმიცანაშვილი (ლავრენტი წულაძე) გაზ. „ივერია"–ში, 1893 წ. წიგნსაცავის გამგედ დაინიშნა ჯამლეთ ბაბუნაიშვილი, შემდეგ არკადი გეგეჭკორი. ამ ბიბლიოთეკამ უდავოდ დადებითი შედეგი გამოიღო საზოგადოების განათლებისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

დღე–დღეობით აკეთის თემში, სოფელ ჭნჭათში, სოფლის მოსახლეობის, ბიბლიოთეკარისა და ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით შენარჩუნებულია ბიბლიოთეკა.

ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკა აკეთის თემის სოფ. ჭანჭათში, მთიან ზონაში მდებარეობს. (გამგე – ლია მურვანიძე–ვადაჭკორია). სოფელში მოქმედებს არასრული საჯარო სკოლა. სოფელს ემსახურება კვალიფიციური ექთანი. ეს არის და ეს. გასართობი კლუბი თუ ფუფუნების საგნები სხვა ჩვენს სოფელს არ გააჩნია. მთელ სოფელში ბიბლიოთეკაა ერთადერთი კულტურის კერა, რომელიც კულტურულ–საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობას ეწევა. სოფლის ბიბლიოთეკაში შეიქმნა ლიტერატურის მოყვარულთა წრე „საკალმახია", სადაც გაერთიანებულია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები. ისინი ბიბლიოთეკაში იკრიბებიან და მსჯელობენ სოფლის ავ–კარგზე, კულტურისა და ლიტერატურის საკითხებზე. სოფელი, სადაც ცხოვრობენ, სურთ, რომ იყოს წარმატებული. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ეს ადამიანები თავიანთი ნაყოფიერი მუშაობით ქმნიან სოფლის ისტორიას.

2001 წელს ბიბლიოთეკაში მომზადდა და გამოიცა 322 გვერდიანი წიგნი „ჭანჭათის სადღეგრძელო", რომელშიც სოფლის ისტორია და მდიდარი ფოლკლორული მასალაა თავმოყრილი. წიგნის ინიციატორი და ხელმძღვანელია სოფლის მეცენატი, მრეწველობის დამსახურებული მუშაკი, ბატონი ავთანდილ წულაძე, რომელმაც მოგვიანებით თავისი მემუარები „დაბადებიდან დღემდე" დაბეჭდა. „ჭანჭათის სადღეგრძელო"–ში ასახულია ჩვენი სოფლიდან გამოსული გამოჩენილი ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა. ესენი არიან: ეროვნული გმირი ვალოდია გოგუაძე, ვეფხისტყაოსნის ფრანგულად მთარგმნელი სერგი წულაძე, აპოლონ და ლავრენტი წულაძეები და სხვა სახელოვანი წინაპრები.

2008 წელს ბიბლიოთეკარმა ლია მურვანიძე – ვადაჭკორიამ მოამზადა და გამოსცა 126 გვერდიანი წიგნი „მასალები აკეთის თემის კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ისტორიის შესახებ", რომელშიც მე–19 საუკუნის დასასრულისა და მე–20 საუკუნის დასაწყისის ჟურნალ–გაზეთებიდან ამოკრეფილი მასალებია აკეთის თემის ისტორიის შესახებ. ავტორმა ამოკრიფა პრესისა და საარქივო მასალებიდან საჭირო ინფორმაციები, რაც ურთულეს შრომასთან იყო დაკავშირებული. ეს მასალები უაღრესად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი სრულად წარმოაჩენს 1876–1904 წლების აკეთის თემის საზოგადოების განვითარების დონეს, მის კულტურულ და ეკონომიკურ სახეს. ამ მასალების პუბლიკაცია შესაძლებლობას იძლევა, „გააცოცხლოს" და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახადოს იმ პერიოდში აკეთის თემში მოღვაწე დღემდე უცნობი ადამიანები; დღევანდელ ახალგაზრდობას სრული წარმოდგენა მისცეს იმ მამულიშვილთა საქმიანობაზე, რომ-

ლებიც 1876–1904 წლებში თავდადებით იღვწოდნენ აკეთის თემის კულტურული და ეკონომიკური აღორძინებისათვის.

ჭანჭათის ბიბლიოთეკაში ლიტერატურის წრის „საკალმახიას“ წევრებმა ჩაატარეს ფოლკლორის საღამო, რამაც სათავე დაუდო ახალი წიგნის გამოცემას: „ჩემი ლამაზი სოფელი“ – ასე დაერქვა წიგნს, რომელიც 2009 წელს დაიბეჭდა, იგი 368 გვერდიანია. აქ შეკრებილია აქაურ მკვიდრთა შემოქმედება. წიგნი ლიტერატურის წრის წევრთა დაუღალავი შრომის შედეგია, რაც ქვეყნისა და სოფლის სატკივარია ადგილობრივ მკვიდრთა პოზიციიდან დანახული. წიგნის პრეზენტაცია ლანჩხუთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო. აქ ხშირად ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები: მწერლებსა და პოეტებთან შეხვედრები, წიგნის პრეზენტაციები, პოეზიის საღამოები. ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის, ენერგიული ქალბატონის ნუნუ ენუქიძის შრომისმოყვარეობითა და მონდომებით ამ ღონისძიებებში ჩართულია მკითხველთა ფართო წრე. მათ შორის ჭანჭათის ლიტერატურის წრის წევრებიც, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში.

გასულ წელს ჭანჭათის ბიბლიოთეკა, სოფლის სამეურნეო პროგრამის თანახმად, შეკეთდა. ადგილობრივი ხელმძღვანელობის ძალისხმევით, შეივსო ახალი ინვენტარით, ახალი წიგნებითა და ჟურნალ–გაზეთებით, რამაც გაზარდა მკითხველთა რაოდენობა და სახალისო გახადა ბიბლიოთეკაში მისვლა. წრის მუშაობის პროცესში ხშირად ხდება განხილვა ერთ–ერთი საუკეთესო ჟურნალისა „საქართველოს ბიბლიოთეკა“, რომელსაც გასულ წელს 10 წელი შეუსრულდა. ჟურნალს დიდი ინტერესით კითხულობენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები.

წრის წევრთა მიერ შექმნილია ბევრი შთამბეჭდავი ლექსი, მოთხრობა, ჩანახატები, იგავები, ზღაპრები, რისი გამოცემაც გვაქვს გადაწყვეტილი „საბავშვო ლექსების“ კრებულის სახით.

რედაქციისაგან: აკეთის ბიბლიოთეკა ისტორიულ მნიშვნელობას იმთავითვე იძენდა, როგორც კი იგი 1893 წელს გაიხსნა, სწორედ აკეთი იქნა შერჩეული ე. წ. „გურიის სახალხო სამკითხველოდ“. იგი განკუთვნილი იყო 10–15 სოფლის მოსახლეობისათვის. იმთავითვე დიდი მოთხოვნილება შექმნილა მასზე. რამდენიმე თვეში 2000–მდე კაცს უსარგებლია. ბევრ ცნობილ მოღვაწეს უზრუნია მის განვითარებასა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრაზე. ამ ბიბლიოთეკის ირგვლივ პრესაში დიდი პოლემიკა გაჩაღებულა, როცა მისი გადატანა, როგორც გურიის ცენტრალური წიგნსაცავისა, სხვა ადგილას დააპირეს (ოზურგეთი, ჩოხატაური, ნაგომარი, ლანჩხუთი). საზოგადოებამ მხარი დაუჭირა სწავლული მღვდლის ლავრენტი წულაძის მოსაზრებას, რომელმაც დაასაბუთა, რომ ბიბლიოთეკა სწორედ აკეთში უნდა დარჩენილიყო, რომლის ირგვლივ ბევრი ჩამორჩენილი სოფელი იყო, რომელთაც კულტურული აღორძინება ესაჭიროებოდა. რაც შეეხება სოფელ ჭინჭათს, ცნობილია, რომ მან რევოლუციური აღმავლობის პერიოდში (1905), დიდი მცდელობის შემდეგ, მოახერხა აღედგინა დარბეული ბიბლიოთეკა და, საბედნიეროდ, დღემდე ფუნქციონირებს აქ.

სხვათა შორის, ამჟამად აკეთის თემში არაერთი სოფელი შედის და მათ შორის ჭანჭათიც. ჭანჭათელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში სასოფლო ბიბლიოთეკების თითქმის სრული განადგურების პირობებში შეძლეს შეენარჩუნებინათ ისტორიულად ცნობილი სასოფლო ბიბლიოთეკა, რაც დასტურია იმისა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას გამოუჩენია ძალისხმევა, დასახლებული ობიექტი არ დაეტოვებინა საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე. ეს მეტყველებს როგორც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, ისე აქ მოღვაწე სოფლის მესვეურთა განათლებულობასა და ენერგიულობაზე.

კორესპონდენცია ჭანჭეთის ბიბლიოთეკის შესახებ ნათლად გვიჩვენებს, თუ რა შეუძლია სოფლის ბიბლიოთეკას, რამდენად ნაყოფიერად ახერხებს ის საზოგადოებასთან ურთიერთანამშრომლობას და რამდენად ნაყოფიერია მისი საქმიანობა. შეიძლება ჭანჭათის ბიბლიოთეკა მაგალითად მოვიყვანოთ ბევრი სოფლისათვის, სადაც ხელაღებით იხურება და ნადგურდება ბიბლიოთეკები.

ნათელა ნათლიაშვილი–კვინიკაძე

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“

ვაჟა–ფშაველა - 150

დიდი ქართველი კლასიკოსების – გენიალური შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის შემოქმედება იმ ტრადიციული ქართული ოჯახის, რომელიც ძველ თბილისში ცხოვრობდა, ნამდვილი სათაყვანო და სალოცავი იყო. თბილისში ერთ–ერთი ასეთი ოჯახი იყო ბართლომე პატარაიას ოჯახი.

ოჯახის უფროსი ბართლომე პატარაია განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ, ზედმიწევნით განათლებული, ენერგიული, გულისხმიერი პედაგოგი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდას შესწირა და სიცოცხლის ბოლომდე ენერგიულად ემსახურებოდა ამ მეტად კეთილშობილურ საქმეს.



ვაჟა–ფშაველას უბის წიგნაკის გარეკანი

ბართლომე პატარაია დაიბადა 1895 წ. მარტვილის რაიონის სოფ. ბანძაში, გლეხის ოჯახში. ნიჭიერი ახალგაზრდა სოფლის თავკაცებმა 1914 წ. სწავლის გასაგრძელებლად დონის როსტოვის სასულიერო სემინარიაში გაგზავნეს.

1918 წ. ახალგაზრდა სამშობლოს დაუბრუნდა და სწავლა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის სიბრძნისმეტყველების განყოფილებაზე. თავის მოგონებებში ის ღვაწლმოსილ პედაგოგთა შორის იხსენებს მიხეილ ჯავახიშვილს, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მისი სულიერი სამყაროს საბოლოო ჩამოყალიბებაში.

1923 წლიდან – 1949 წლამდე ბ. პატარაია მუშაობს თბილისისა და თბილისის მაზრის პოლიტგანათლების განყოფილების მდივნად, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგად თბილისის სხვადასხვა სკოლაში, სასწავლო ნაწილის გამგედ, 1952 წლიდან – ამიერკავკასიის სკოლების სამმართველოში უფროს მეთოდისტად.

ბართლომე პატარაია ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი აღსაზრდელებისადმი თბილი, გულისხმიერი დამოკიდებულებით და ხელმძღვანელობდა მასწავლებელთა მეთოდკომისიებს, გამქვეყნებული აქვს წიგნი „პროექტების მეთოდისათვის“ (1930).

ბართლომე პატარაია აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ყოველთვის იბრძოდა ვიწრო ნაციონალისტური გამოხდომების წინააღმდეგ და ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის აშკარა მომხრე იყო.

ოციან წლებში დასავლეთ საქართველოში დაიწყო ლტოლვა მეგრული ავტონომიზაციისაკენ, მოითხოვდნენ სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლებას, უშვებდნენ გაზეთს და ა.შ. ბ. პატარაია გადაჭრით გამოვიდა ამ ჯგუფის წინააღმდეგ რუსთაველის თეატრში გამართულ შეხვედრაზე და დასაბუთებული მოხსენებით თავისი ხედვა განავითარა.

ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ბ. პატარაია დაჯილდოვებული იყო ორდენებითა და მედლებით. ჭეშმარიტი ქართველი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ ენას, – „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენას“, როგორც ლადო ასათიანი უწოდებდა.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ბართლომე პატარაია დიდ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა პროზასა და პოეზიაში. მას დარჩა მნიშვნელოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომლის ნაწილი ცნობილია მკითხველისათვის, ხოლო უფრო დიდი ნაწილი – უცნობია.

1919 წლიდან ის ლექსებსა და ფელეტონებს აქვეყნებს სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალში. 1925 წელს გამოდის მისი ლექსების პირველი კრებული „სისხლი“.

სევდა, წუხილი, ბრძოლა, აბობოქრებული ცხოვრება, მოწოდება ბრძოლისაკენ, გამარჯ-

ნინა პატარაია

ვების იმედი – თან სდევს მის შემოქმედებას.

1929 წელს ბართლომე პატარაიამ გამოაქვეყნა რომანი „ნონა“. რომანში მწერალი აღწერს მეფისდროინდელი რუსეთის ქართველი გლეხის უკიდურეს გაჭირვებას, გვიხატავს ახალგაზრდების ერთგულ, სპეტაკ სიყვარულს, კეთილშობილებას, მეგობრობას, მუქი ფერებით აცოცხლებს მედროვეებს; რომანი გაჟღენთილია ოპტიმიზმითა და იმედით, რომ სიკეთე გაიმარჯვებს ბოროტებაზე.

1941 წ. გამოიცა ბართლომე პატარაიას ღირსშესანიშნავი ისტორიული რომანი „ერეკლე მეორე“ (პირველი ნაწილი). აღსანიშნავია, რომ ავტორმა 1949 წელს აღნიშნული წიგნის პირველი ნაწილი რუსულად თარგმნა, აგრეთვე დაამთავრა რომანის მეორე ნაწილი.

რომანში სრულყოფილადაა მოცემული გმირი მეფის – ერეკლე მეორის ნათელი სახე, ასახულია საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა პერიოდის ამბები, როდესაც ეს ისტორიული აქტი მზადდებოდა. ერეკლე მეორის გვერდით რომანში ვახტანგ მეექვსის, თეიმურაზ მეორის, ანტონ კათალიკოსის, სოლომონ ლეონიძისა და სხვა ისტორიული პირების დასამახსოვრებელი სახეებია შექმნილი. „ერეკლე მეორე“ გამოვიდა 1941 წელს, მან დიდი როლი ითამაშა ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.



მწერლის კალამს ეკუთვნის აგრეთვე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები, ასეთებია: „სიმღერა“ – ლექსების კრებული (1930 წ.), „ასპინძის ომი“ – პოემა (1947 წ.), „ადა“ – რომანი (1949 წ.), მოთხრობების კრებული (1932 წ.), „ჩემი სიტყვა მსოფლიოს“ (1928 წ.) და სხვ.

ბართლომე პატარაია

როგორც პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრს, ბართლომე პატარაიას ოციანი წლებიდან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან და პოეტებთან. განსაკუთრებით მეგობრობდა გალაკტიონ ტაბიძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, გიორგი ქუჩიშვილთან, იოსებ გრიშაშვილთან და სხვებთან.

გალაკტიონ ტაბიძე გახლდათ ბართლომე პატარაიას ერთადერთი ვაჟის – ჯუდუს ნათლია. ჯუდუს დის – ნონას ოჯახში დღემდე ინახება გალაკტიონის მიერ ნათლულისთვის 1931 წ. ნაჩუქარი წიგნი „რევოლუციური საქართველოსათვის“ – ავტოგრაფით.

გულღია მასპინძლის – ბართლომე პატარაიასა და სათნო, დარბაისელი, ნამდვილი ქართველი მანდილოსნის – ვალია ქოიავას თბილ, მყუდრო, სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ პოეტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები... იმართებოდა საინტერესო საუბრები, დისპუტები, კითხულობდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს, ლექსებს ყოველი ასეთი შეხვედრა ლამაზი ქართული სიმღერებით მთავრდებოდა.

ბართლომე პატარაიას ვაჟმა ჯუდუმ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, იყო დოცენტი და წლების განმავლობაში მოღვაწეობდა სულხან–საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიურ უნივერსიტეტში.

ქალიშვილმა – ნონამაც იგივე უმაღლესი დაამთავრა ფილოლოგიის სპეციალობით. მუშაობდა სკოლაში, რადიოკომიტეტში, გამომცემლობაში.

ბართლომე პატარაია გარდაიცვალა 1958 წელს.

განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ბართლომე პატარაიას მისთვის სათაყვანებელი ვაჟა–ფშაველას ვაჟთან – ვახტანგ რაზიკაშვილთან, რომელიც № 7 რკინიგზის სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. დიდი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად

ვახტანგმა ამაგდარ მასწავლებელს მამის – ვაჟა–ფშაველას უბის წიგნაკი უსახსოვრა.

ვაჟა პატარაიების ოჯახის უსაყვარლესი, უძვირფასესი მწერალი გახლდათ და, წარმოიდგინეთ, რა სათუთად ინახავდნენ და უფრთხილდებოდნენ ამ ძვირფას რელიკვიას... დიდებული მგოსნის ხელნაწერი უბის წიგნაკი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ინახებოდა პატარაიების ტრადიციულ, ინტელიგენტურ ოჯახში, ჯერ ვაჟის – ჯუდუს ოჯახში, 1995 წლამდე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – მისი დის, ნონა პატარაიას ოჯახში.

წელს ვაჟა–ფშაველას დაბადებიდან 150 წელი შესრულდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით, ქალბატონმა ნონამ, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, ოჯახის ძვირფასი რელიკვია უანგაროდ შეეწირა გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმისათვის.



2011 წ. 5 ივლისს ქ–ნმა ნონამ მუზეუმის დირექტორს, ბ–ნ ლაშა ბაქრაძეს მიმართა განცხადებით, მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში მის ოჯახში დაცული ვაჟა–ფშაველას უბის წიგნაკის საჩუქრად გადაცემის თაობაზე.

და აი, მუზეუმის დირექტორის მოადგილე ქ–ნი თეა თვალავაძე კრძალვით ფურცლავს რუდუნებით შენახული წიგნაკის ფურცლებს...

თითქოს ისტორიული წუთებია...

იფურცლება საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელი ისტორია... ვაკვირდებით ყურადღებით, ინტერესით, ამავე დროს დიდი მღელვარებით...

აი, ვაჟას სიზმარი, იაკობ გოგებაშვილთან დაკავშირებული... ჩამონათვალი „ივერიაში“ 1905 წ. გაგზავნილი პუბლიკაციებისა: „რა დააშავა ბიუროკრატიამ?“, „გოდება“, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, „სიზმარი“, პირადი საოჯახო ჩანაწერები, სასმელის რეცეპტი, მშვენიერი ლექსი „სიმღერა“ და სხვ.

გარკვევით იკითხება ვაჟას ნაფიქრ–ნააზრევი:

სიმართლემ ჯაჭვი ჩაიცვა,
აზრმა დაიდგა ტახტია,
კარგად ვარ, წყლული მირჩება,
აღარავის მაქვს დარდია,
კარგი მაქვს წუთისოფელი,
კაი დროს დავიბადია.

ხელნაწერთა ინსტიტუტის კონსულტანტი, ბ–ნი მიხეილ ქავთარია თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ უბის წიგნაკი ნამდვილად ეკუთვნოდა ვაჟა–ფშაველას, წიგნაკში ჩანაწერები ავტოგრაფიულია და დაუთარიღებელია 1903 წლიდან. ვაჟას წიგნაკში ჩაწერილია ლექსი, რომელიც ვაჟას ბიბლიოგრაფიაშია შეტანილი, აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის ცნობები. კონსულტანტი მიესალმება ქ–ნი ნონა პატარაიას გადაწყვეტილებას. ეს გადაწყვეტილება, მისი აზრით, უაღრესად პატრიოტულია და მას ჩვენი საზოგადოებისგან გულწრფელი მადლობა ეკუთვნის.

დიახ, დღეს, როდესაც თითქოს გახუნდა, გაფერმკრთალდა დიდსულოვნება, ამაღლებული გრძნობები, დაისადგურა „ნაცრისფერმა ყოფამ“, ქ–ნი ნონა პატარაიას, უსათნოესი, უკეთილშობილესი და უფაქიზესი ქალბატონის საქციელი ნამდვილად დასაფასებელია და მისასალმებელი.

მუზეუმის თანამშრომლებმა ქ–ნ ნონას ლიტერატურის მუზეუმის შესანიშნავი გამოცემა გადასცეს – 2011 წლის კედლის ლიტერატურული კალენდარი, პეტრე ბაგრატიონი–გრუზინსკის ლექსების, პოემების, მინიატურების, სასიმღერო ლექსებისა და ნათარგმნი ლექსების მშვენიერი გამოცემა და გალაკტიონის რჩეული. გ. ტაბიძის რჩეულში, ლექსებთან ერთად, შესულია პოეტის ლექსების ხელნაწერები, ავტოგრაფები, ფერადი და გრაფიკული ჩანახატები, პირადი მემორიალური ნივთების რეპროდუქციები.

„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, – რა შესანიშნავად წერს გალაკტიონი. მართლაც, ვაჟა–ფშაველას უბის წიგნაკი პატარაიების ოჯახის უძვირფასესი სახსოვარი იყო, მაგრამ ქ–ნი ნონა უდიდეს სულიერ კმაყოფილებას განიცდის, რომ გენიალური პოეტის უბის წიგნაკმა ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაიდო ბინა.

ᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

1.ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ – ᲦᲕᲐᲬᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ

დაბადებიდან 150 წლისთავის გამო

დიმიტრი კონსტანტინეს ძე ერისთავი 1862 წელს დაიბადა გორაში, (ოზურგეთის მაზრა, ჩოხატაურის უბანი), მამამისის გუბაზეულის პირას მდებარე სასახლეში, იქვე აიდგა ფეხი და ცხოვრების შეცნობის პირველი ნაბიჯებიც იქ გადადგა.

პატარა დიმიტრი კონსტანტინე ერისთავის და ივლიტე ნაკაშიძის მაღალგანათლებულ ოჯახში, თავისი ნიჭიერების წყალობით, მრავალ სიკეთეს ეზიარა. ათი წლისა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. ამ დროსვე მიდის ქუთაისს ექვ. თაყაიშვილიც.

გიმნაზიის წლები მან ექვთიმესა და ნიკო მარის გვერდით გაატარა და მათებრ მოწინავე გიმნაზიელი გახლდათ, თუმცა სულ სხვა მხრით ჰქროდა მისი ოცნება. ეს გახლდათ სამედიცინო განათლება, რათა უფრო მეტი სამსახური გაეწია თავისი ხალხისათვის. ამის დასტური ისიცაა, რომ კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან უარი განაცხადა საპროფესოროდ მომზადებაზე დასარჩენად და გურიას მიაშურა.

ახალბედა ექიმი სოფ. ნაგომარს გაამწესეს და ხალხის სიხარულიც უსაზღვრო აღმოჩნდა. იმ დროს არა თუ გურიაში ექიმი , სანთლით საძებარი იყო მთელ საქართველოში.

ეს იყო 1886 წელს.

მაშინ ახალბედა ექიმი 24 წლის გახლდათ. მომდევნო 9 წელს ის უწყვეტად მუშაობდა გურიაში და თავის ნაყოფიერ სამკურნალო პრაქტიკასთან ერთად, სალიტერატურო ფრონტზეც ენერგიულად იღვწოდა. ამას მოწმობს მისი მშვენიერი მოთხრობების პირველი კრებული"ნაქვთები", რომელიც 1891 წელს დაიბეჭდა.

მას, როგორც დამწყებ მწერალს, აქამდეც იცნობდნენ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ცალკეული მოთხრობით, მაგრამ ერთობლივად თავმოყრილმა ამ შემოქმედებამ უფრო სრული წარმოდგენა შეუქმნა მოწინავე საზოგადოებას ახალგაზრდა მწერლის ნიჭიერებაზე.

დ. ერისთავმა ისეთი ბრწყინვალე ნიჭის კრიტიკოსის ყურადღებაც მალე მიიპყრო, როგორიც ალექსანდრე წულუკიძე (1876–1905) ბრძანდებოდა.

ზოგიერთი კრიტიკოსი დ. ერისთავის შემოქმედებაში ეგნატეს გავლენასაც უსვამს ხაზს, მაგრამ ეს უფრო დროისა და მსოფლმხედველობის ერთიანობით უნდა აიხსნას, ვიდრე გავლენით. კრიტიკოსები ჩვენს შესანიშნავ შემოქმედს არც შემდეგ დაკლებია, მისი მემკვიდრეობისათვის პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმაც (1864–1912) კი მოიცალა. პროფესორი შემოქმედს „ცოტა" სიმართლესა" და „ჩაუღრმავებლობაზეც" მიანიშნებს, მაგრამ ეს გარემოებანი მნიშვნელოვან ჩრდილს მაინც ვერ ჰფენენ ჩვენი გულმხურვალე და ლაღი მწერლის მემკვიდრეობას.

დ. ერისთავი ლექსებსაც წერდა. მწერლის შემოქმედების ეს სფერო მისი პროზის სიმაღლისა ვერ არის, მაგრამ მაინც საინტერესოა და ყოველთვის მიიქცევს ამ დაუვიწყარი მწერლის შემოქმედებით დაინტერესებულთა ყურადღებას.

გარდა აქტიური პოლიტიკური და სამწერლო მოღვაწეობისა, დ. ერისთავს სანიმუშო ქართული ოჯახი ჰქონდა. ცოლად ჰყავდა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ოტია დადიანის განათლებული ასული, რომელმაც სამ შვილს (ვახტანგი, თამარ და დარიკო) დიდებული განათლება მისცა.

ღვაწლმოსილი მკურნალი და შემომქმედი 1924 წელს გარდაიცვალა იმავე სოფელში, სადაც 62 წლის წინათ დაიბადა.

დ. ერისთავის ცხოვრება და შემოქმედება, სამწუხაროდ, ვერ არის სათანადოდ დაფასებული, ერთ დროს, მისდამი, საერთოდ, სრულ უგულებელყოფას იჩენდნენ. იგი ქართულ ენციკლოპედიაშია შეტანილი. ეს დაუდევრობა გამოასწორა დავით ნაცვალაძემ, როცა 1986 წელს შესანიშნავი გამოკვლევა უძღვნა მას. ალბათ არც სხვა ლიტერატორები დაიშურებენ სიტყვას ამ მივიწყებული, მაგრამ მშვენიერ შემოქმედსა და საზოგადო მოღვაწეზე.

2. ადრე ჩამქრალი შემოქმედი

(ლავრენტი ჩოხატაურელი)

XIX საუკუნის ქართულ ჟურნალ–გაზეთებში ამ ფსევდონიმით იბეჭდებოდა იმედის მომცემი ახალგაზრდა შემოქმედი ლავრენტი ბერძენიშვილი.

ლ. ბერძენიშვილი 1873 წელს დაიბადა სოფელ გოგოლესუბანში (ჩოხატაურის უბანი, ოზურგეთის მაზრა). მამამისი, ანტონ სიმონის ძე ბერძენიშვილი (1848–1898) იმ დროისათვის განათლებული პიროვნება იყო. (დაამთავრა ზემო •მაღლების უდაბნოს მამათა მონასტრის სამრევლო სკოლა). გამოირჩეოდა სოფლის მოწინავე ადამიანთა შორის; მსახურობდა მშობლიური სოფლის წმ. გიორგის ეკლესიის დიაკვნად და ენერგიულად ზრუნავდა ახალგაზრდობის სწავლა–აღზრდაზე. 1893 წელს მან პირველმა დაუთმო მიწა სოფლის ახალგახსნილ სამრევლო სკოლას (გამგე – მასწავლებელი გოგოლესუბნის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი ეპიფანე ჯიბლაძე).

მომავალმა მწერალმა სრულიად ნორჩმა გამოსცადა წუთისოფლის სივერაგე, დაკარგა დედა და ნახევრად ობლობაში გაატარა ხანმოკლე და სიძნელეებით სავსე ცხოვრება.

პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ლავრენტის მამამ მეორედ იქორწინა და მეორე მეუღლესთან შვილებიც შეეძინა, მაგრამ ხელმოკლე დიაკვანს სად ჰქონდა ამოდენა ოჯახის წარმატებით გაძღოლის შესაძლებლობა.

კიდევ კარგი, რომ დიაკვნის უმცროსმა ძმამ, ექვთიმე ბერძენიშვილმა (1859–1935) იმარჯვა და ბათუმში ისეთი ბიზნესი ააწყო, თავის ოჯახსაც არგო და უფროსი ძმების ოჯახებსაც მიხედა. ამაზე მეტყველებს თავისი უფროსი ძმის პირმშო ძისადმი (ლავრენტისადმი) გაწეული მზრუნველობა.

სწავლა–განათლების ძლიერ მოწადინე ძმისწული ექვთიმემ თავისთან წაიყვანა და ბათუმის იმ დროს სახელგანთქმულ სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარა და ბინითა და საზრდოთი უზრუნველჰყო. ლავრენტიც არ დარჩა ბიძას ვალში და წარჩინებული სწავლითა და სამაგალითო ზნეობით ასახელა ქალაქის ელიტარულ საზოგადოებაში ეგზომ მიღებული და სახელოვანი ბიძა.

სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლავრენტი მოსკოვის უნივერსიტეტში შესვლას აპირებდა, მაგრამ მაშინ რუსეთის უნივერსიტეტები უფრო გიმნაზიადამთავრებულებს უღებდნენ კარს და ლავრენტის იმჯერად აღარ მოუხერხდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება.

მიუხედავად ამისა, ის მაინც არ იტეხდა გულს და გულდაგულ ემზადებოდა საუნივერსიტეტოდ და ამისთვის იმპერიის საზღვრებს მიღმაც ამზადებდა ნიადაგს, მაგრამ აღარ დასცალდა, 1899 წელს გარდაიცვალა ისე, რომ ვერც უნივერსიტეტში შესვლის სურვილი აისრულა და ვერც ოჯახს მოეკიდა.

ლავრენტი ბერძენიშვილმა ვერც სამწერლო ასპარეზზე მოახერხა დაოსტატების სასურველი ხარისხის მიღწევა, მაგრამ იმ მოკლე დროში, რაც წუთისოფელმა განუწესა, იმდენი მაინც შეძლო, თავისი შემოქმედებით დიდი ილია ჭავჭავაძისა და მისი დასის ყურადღება მიეპყრო,

ამ ყურადღების ნაყოფი გახლდათ ის მგრძნობიარე ნეკროლოგი, რომელიც ილიას „ივერიამ“ უძღვნა ადრე წასული საიმედო ახალგაზრდა შემოქმედის ხსოვნას. ლავრენტი ბერძენიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ათობით საინტერესო მოთხრობა და ლექსი ამშვენებს. მათი უმრავლესობა მანვე გამოაქვეყნა სიცოცხლეში, ხოლო ნაწილიც ჩვენ დავბეჭდეთ გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

ძალიან ვეცადეთ მისი არქივის სრულად გამოქვეყნება, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ კარგი საქმის დაგვირგვინება დღემდე არ მოგვიხერხდა.

ლ. ჩოხატაურელი საინტერესო მოთხრობებსა და ლექსებს წერდა; რომელთა ნაწილს ქართულ ჟურნალ–გაზეთებში ბეჭდავდა, ხოლო ზოგსაც თავისი თანასოფლელის, ოზურგეთის მოქალაქის ალექსი სიხარულიძის (1857–1919) სალონში კითხულობდა და ასე აცნობდა ახლობელ ადამიანებს. ამ სალონში ლავრენტის მშობლიური სკოლის მთელი ელიტა მონაწილეობდა; ესენი იყვნენ: იუმორისტი ირაკლი გოგოლაძე (1872–1935), გოგოლესუბნის პირველი კერძო სამუსიკო სტუდიის დამაარსებლის ივანე ფარეშთუხუცესის (სიხარულიძე) ღირსეული მოწაფე და ფართოდ სახელმოხვეჭილი ხელოვანი ვახტანგ სიხარულიძე (1866–1941), ბრწყინვალე მომღერალი (გამყივანის) დიდოსტატი იესე (ისაკ) სიხარულიძე (1829–1918), გოგოლესუბნის წმ. გიორგის ეკლესიის მგალობელთა გუნდის რეგენტი ილარიონ სიხარულიძე (1852–1956), ალექსი სიხარულიძის დები – მზეხა და ნინო სიხარულიძეები, ალექსის მეუღლე დოდო ჩხიკვაძე, რომელსაც მრავალ ღირსებასთან ერთად პოეტური ნიჭითაც იყო მომადლებული.

სალონის საპატიო წევრი ბრძანდებოდა მთელ ზემო გურიაში ნადურის („საჯავახურას") უბადლო მწყებელი ტარიელ სიხარულიძე (1833–1933), ახალი დროის „მოსე მწერალი" ისიდორე სიხარულიძე (1868–1937), ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის აღზრდილი ილია (იოსებ) სიხარულიძე (1875–1947) – აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის პირველი მასწავლებელი გოგოლესუბნის სამრევლო სკოლაში და ბევრი სხვა.

ამ სალონმა დროთა განმავლობაში ისე გაითქვა სახელი, რომ მასში ხალისით მონაწილეობდნენ მეზობელი სოფლების მცხოვრებლებიც, რომლებიც პოეზიით და ხელოვნებით იყვნენ დაინტერესებულნი. მათ შორის გამორჩეული ბრძანდებოდნენ ბრწყინვალე შუაფარცხმელი მგოსნის გრიგოლ მეგრელიშვილის მშობლები, ჩოხატაურის მოქალაქე გერასიმე მეგრელიშვილი და მისი მრავალმხრივი ნიჭით მომადლებული მეუღლე, საჯავახოელი (სოფ. ქვემო ხეთი) ბიჭია ყენიას უმშვენიერესი ასული პისტი, რომელსაც აღარ დასცალდა თავისი სასახელო ვაჟის წარმატებათა ხილვა.

ამ წრეში ტრიალებდა ლავრენტი ბერძენიშვილიც და ამავე სალონში გაიცნო ალექსი სიხარულიძის უმშვენიერესი ცოლისდა არინეთ ჩხიკვაძე და ძლიერადაც შეუყვარდა.

ბედმა აქაც უღალატა ლავრენტის და, ქალიშვილმაც, რომელიც სახელქებული ძმის (დეკანოზ მიხეილ ჩხიკვაძის) მზრუნველობით განებივრებულმა არ უთანაგრძნო ახალგაზრდა მწერალს. ამას ეძღვნება სწორედ ლავრენტის ერთ–ერთი უკანასკნელი ლექსი („როს მაგონდები"), რომელიც 1898 წლის მიწურულსაა დაწერილი.

როს მაგონდები, ვღონდები,
ემატება წყლული წყლულსა,
სევდისაგან ცრემლებსა ვღვრი.
ვმონებ შენსა სიყვარულსა.
შენ კი, ვგონებ, სულ გამწირე,
დამამიწე უღმრთოდ განა?!
ვაშა, ვაშა, შენს ქალობას,
ტრფობაც უნდა ამისთანა.
მიყვარდი და შემოგხარი
და სულ მუდამ მეყვარები,
მსურდა შენი ნაზი ხელით
დამხუჭვოდა მე თვალები.
მაგრამ შენმა სათნო გულმა
ახლოსაც არ გამიკარა,
რა ვქნა, ჩემთვის მაინც მზეო,
არც ტკბილო და არცა არა.

ამ სევდიან ლექსს კარგი ბედი აღმოაჩნდა. ის დაწერისთანავე სასიმღეროდ იქცა და ალექსი სიხარულიძის სალონშიც მალე შეაღწია. მას ჩონგურზე ამღერებდა ამავე სალონის დიასახლისი, მგოსანი და შესანიშნავი მომღერალი დარდო ჩხიკვაძე.

გოგოლესუბნის თვალი, ეს ზემო ფარცხმელი ბესარიონ ჩხიკვაძის ულამაზესი ასული, სამი პროფესორის დედა, 1942 წელს გარდაიცვალა თავის უფროსი ვაჟის, პროფესორ ივანე სიხარულიძის (1896–1964) ოჯახში.

ასე გაშორდა საწუთროს თავისი დროის ეს შესანიშნავი პიროვნება, მაგრამ ლ. ბერძენიშვილის სასიმღერო ლექსი ამით როდი ჩაბარებია არქივს.

ეს სიმღერა ქალბატონ დარდოს შემდეგ ლომთათიძეთა განთქმული საგვარეულოს ერთ–ერთმა ღირსეულმა შვილმა, ხალხური სიმღერების დიდოსტატმა და გამორჩეულმა მედაირემ ფატი სილიბისტროს ასულმა ლომთათიძემ (1881–1956) აიტაცა და სიკვდილამდე დარაჯობდა ბედისგან განწირული მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის ხსოვნას.

ფატი ლომთათიძეს, სამწუხაროდ, ამ მხრით გამგრძელებელი აღარ დარჩენია, მაგრამ ამიერიდან სხვა მხრივ გაგრძელდა მგოსნის ხსოვნა. ახლა, როდესაც ლ. ბერძენიშვილის ნიჭის ადრინდელი თაყვანისმცემლების უმრავლესობა აღარ არის, ჯერი ახალ თაობაზეა.

იუბილე

გულნარა სტურუა

უილიამ თეკერეი – 200

მეცხრამეტე საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ–ერთი კრიტიკული მეისტორიე და რეალიზმის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი უილიამ თეკერეი ქართველი მკითხველისათვის ცნობილია მისი საუკეთესო რომანით „ამაოების ბაზარი“. ამ წიგნის ქართველმა მთარგმნელმა ალექსანდრე გამყრელიძემ იშვიათი ცნობები მოაწოდა ჩვენს მკითხველს მეცხრამეტე საუკუნის ინგლისის ლიტერატურული ცხოვრებისა და სოციალური გარემოების შესახებ. „ამაოების ბაზრის“ დაწერამდე თეკერეის ბევრი კარგი თხზულება გამოუქვეყნებია, მაგრამ იმ ეპოქის ინგლისის ბურჟუაზიული ცხოვრების ამაოება, მხოლოდ გამდიდრებით მიღებული ნეტარება, ფულისა და ქონების მოპოვებისათვის არსებობა, რაც ჰკლავს ადამიანში ყოველგვარ ადამიანურს, განსაკუთრებული სიძლიერით და მახვილი ლიტერატურული პასაჟებით არის დახატული მწერლის ამ რომანში და იწვევს მკითხველის დიდ ინტერესს. ასე რომ, „ამაოების ბაზარი“ თეკერეის ყველაზე სახელგანთქმული და ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნაწარმოებია, რომლის ძირითადი მოტივი – ბურჟუაზიული ინგლისის ცხოვრების ამაოება, მთავარი მოტივია არა მარტო ამ რომანისა, არამედ მის ადრინდელ და შემდგომდროინდელ ნაწარმოებებისაც. რომანის თავდაპირველი სახელწოდება იყო „ინგლისის საზოგადოების კალმით და ფანქრით ნახატი სურათები“ და, როდესაც ავტორს ეს სათაური ანუ „ამაოების ბაზარი“ მოაგონდა, თეკერეი საწოლიდან წამომხტარა, გახარებულს ოთახი რამდენჯერმე შემოურბენია ყვირილით „ამაოების ბაზარი, ამაოების ბაზარი!“...



ეს სათაური მწერალს მეჩვიდმეტე საუკუნის ცნობილი მწერლის – ჯონ ბანიენის (1628–1688) შესანიშნავმა წიგნმა „მწირის მოგზაურობის“ ერთმა ეპიზოდმა შთააგონა თურმე. აღნიშნული წიგნის იმ ეპიზოდის მიხედვით, მწირებმა (წიგნის მოქმედმა გმირებმა) მოგზაურობისას ქალაქს მოჰკრეს თვალი, რომელსაც ამაოება ეწოდებოდა. ქალაქში ბაზარი ყოფილა გამართული, სადაც ყოველი ჯურის ამაოებანი იყიდებოდა. ამ ბაზარში შეიძლებოდა გეხილა უხამსი გართობები, თვალთმაქცობა, ტაკიმასხარობა, ქურდობა, მკვლელობა, მრუშობა... ქალაქი ახალი კი არა, უძველესი ყოფილა... დიახ, კაცობრიობის ეს მანკიერებანი უძველესია, მაგრამ, ამავე დროს, მუდამ ახალი. მართლაც რომ მეტად საინტერესო ეპიზოდია, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მწერალი ბანიენი უცნობია ქართველი მკითხველისთვის. იგი არ არის ნათარგმნი. სამწუხაროდ, არა გვაქვს თეკერეის დანარჩენ ნაწარმოებთა თარგმანებიც.

თეკერეი დაიბადა 1811 წლის 18 ივლისს, ინდოეთის ქალაქ კალკუტაში, ოსტინდოეთის კომპანიის მოხელეთა შეძლებულ ოჯახში.

ბავშვობის ადრეულ წლებში მშობლებმა უილიამი მიაბარეს ლონდონის ერთ–ერთ სკოლაში, შემდგომ (1822) საკმაოდ ცნობილ ჩარტერჰაუზის სასწავლებელში გადაიყვანეს. თანატოლებს შორის პატარა უილიამი გამოირჩეოდა მახვილსიტყვაობით.

18 წლისა იყო, როდესაც შევიდა კემბრიჯის უნივერსიტეტში, სტუდენტობის დროს მან გამოსცა სტუდენტურ=იუმორისტული ჟურნალი „Snob“, რაც მეტყველებს მის განსაკუთრებულ ინტერესზე სნობიზმისადმი. მოგვიანებით – 1846 წელს ჟურნალ „პანჩში“, რომლის მუდმივი თანამშრომელი გახლდათ, მან გამოაქვეყნა „სნობების წიგნი“ მოთხრობების სახით. საინტერესოა ის, რომ სიტყვა „სნობის“ ახლანდელი მნიშვნელობა თეკერეის შემოღებულია, ადრე ეს სახელი აღნიშნავდა თავის ცხოვრებით კმაყოფილ, შეზღუდული გონების ადამიანს. თეკერეიმ ამ სიტყვას გაცილებით განზოგადებული მნიშვნელობა მიანიჭა და მის გამოსარჩევ მთა-

ვარ ნიშნად მიიჩნია სნობის დამოკიდებულება ამა სოფლის წარჩინებულთა და მდაბალთადმი. სნობი დიდებულთა წინაშე მიწას განერთხმის, მდაბალთ კი არარაობად მიიჩნევს და სწიხლავს. მუდამ თავი მოაქვს სიმდიდრით და წარჩინებულობით, სინამდვილეში კი ნამდვილი რეგვენია. თეკერეის შემოქმედებაში სწორედ ამ ტიპის ადამიანების გალერეაა შექმნილი იუმორით, ცინიზმითა და, რაც მთავარია, უდიდესი მხატვრული ოსტატობით.

კემბრიჯის დატოვების შემდეგ (1830) იგი გაიტაცა მოგზაურობამ, ცხოვრობდა ვაიმარში, პარიზში. ამ უკანასკნელში დაიწყო მან მხატვრობის შესწავლა და ემზადებოდა ცნობილ ინგლისელ მხატვარ ბონიგტონთან, მასთან მეცადინეობით მისგან დიდი მხატვარი არ დამდგარა, მაგრამ მთავარია ის, რომ თავისი ნახატებით კარგად ახერხებდა საკუთარი წიგნების გმირების ხასიათების გამოხატვას იუმორისტულ ფორმებში.

1832 წელს იმ დროის ევროპული საზოგადოებისათვის უკვე სრულფასოვანმა მწერალმა თეკერეიმ შესძლო საკუთარი კაპიტალის მოპოვება, მაგრამ, სამწუხაროდ, მალევე გაფლანგა ნაწილობრივ კარტში და ძირითადად წარუმატებელ ლიტერატურულ გამოცემებში.

1837 წელს თეკერეი დაქორწინდა, მაგრამ ოჯახურმა ცხოვრებამ მას ბედნიერება ვერ მოუტანა. შეუღლებიდან ოთხი წლის შემდეგ მეუღლე ფსიქიურად დაავადდა და ქმრისაგან განცალკევებით ცხოვრობდა. თეკერეიმ მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება გაატარა ორი ქალიშვილის საზოგადოებაში. ერთ–ერთი ქალიშვილი რიჩმონდ რიჩი იყო – ცნობილი რომანისტი ქალი, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეული მოგონებები დაწერა მამაზე.

იმ დროს ძალიან გავრცელებული იყო ფსევდონიმების გამოყენება. თავად თეკერეი თავის ნაწარმოებებს ერთხანს წერდა მიხეილ ტიტმარშის ფსევდონიმით. პირველი ნაწარმოები, რომელსაც საკუთარი გვარი მოაწერა, იყო რომანი „ამაოების ბაზარი“, ეს იყო 1846 წელი. ამ რომანმა თეკერეის უდიდესი წარმატება მოუტანა, მოუპოვა ლონდონის ცნობილი საზოგადოების წარმომადგენლის სახელი, დააახლოვა იმ დროის ცნობილ მწერლებს... ინგლისის სალიტერატურო ცხოვრებაში ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჩარლზ დიკენსის ბრწყინვალე ტალანტმა თითქმის ყველა თანამოკალმის შემოქმედება დაჩრდილა, მხოლოდ „ამაოების ბაზრის“ გამოქვეყნების შემდეგ დაიჭირა თეკერეიმ ღირსეული ადგილი დიდი თანამოძმის დიკენსის გვერდით. 1850 წლის შემდეგ „ამაოების ბაზარს“ მოჰყვა სხვა დიდი რომანები: „პენდენისის თავგადასავალი“, „ჰენრი ესმონდი“, „ნიუკომები“ და „ვირგინიელები“, ამ პერიოდსავე ეკუთვნის თეკერეის გატაცება ლექციებით. ის სახალხო ლექციებს კითხულობს ჯერ ევროპაში, შემდეგ ამერიკაში. ამ მხრივ იგრძნობა დიკენსის გავლენა, თუმცა იგი დიკენსივით საკუთარ ნაწარმოებებს კი არ კითხულობს, არამედ შედგენილი აქვს ისტორიულ–ლიტერატურული ნაწყვეტები, ეპიზოდები, რითაც მსმენელებში დიდ ინტერესს მოიპოვებს, ამ ლექციებისაგა შედგება მისი ორი წიგნი: „მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელი იუმორისტები“ და „ოთხი გიორგის მეფობის ხანა“.

თეკერეი გარდაიცვალა 1863 წლის 24 დეკემბერს. დარჩა დაუმთავრებელი რომანი „დენის დიუვალი“.

თინათინ იოსავა

სოფრომ მგალობლიშვილი – 160

„ბნელს სინათლისა ეშინიან; ქურდი, ავაზაკი,
ყველანაირი მტარვალი სინათლეს გაურბის;
მტარვალი მხდალია, ხალხი კი მძლავრი, სავსე
ზნეობით, სათნოებით და ქვეყნისადმი სიკეთითა
რა გაუმაგრდება იმას, თუ მოინდომა, თუ გაიწია
და დაამტვრია უღელ–ტაბიკი მონობისა!..“

სოფრომ მგალობლიშვილი

გასული საუკუნის ქართული დემოკრატიული ლიტერატურის ხალხოსნური მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო და ტიპიური წარმომადგენელია სოფრომ მგალობლიშვილი. მწერლის ყურადღების ცენტრში დგას უბრალო ქართველი გლეხი და ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო მის აუტანელ სოციალურ და უფლებრივ მდგომარეობასთან. თავისი შინაარსით, თემის იდეური გააზრებითა და შემოქმედებითი მეთოდით სოფრომ მგალობლიშვილის მხატვრულმა სიტყვამ სრულად წარმოადგინა ხალხოსნური მწერლობის ყველაზე ტიპიური მხარე. იგი იყო არა მარტო ხალხოსანი მწერა-

ლი, არამედ ხალხოსანი რევოლუციონერიც. მისი შემოქმედების დასაწყისი ემთხვევა XIX საუკუნის 70–იან წლებს. ამ პერიოდში, საქართველოში, რუსეთის გავლენით, თანდათან ვითარდებოდა ხალხოსნური მოძრაობა. დიდ რუს განმანათლებელთა იდეებით შთაგონებული ქართველი მოწინავე ინტელიგენცია და მოსწავლე–ახალგაზრდობა, რომელიც ხედავდა, თუ როგორ დაუმძიმდა გლეხს უღელი რეფორმის შემდეგ, იწყებს რევოლუციურ მოღვაწეობას მშრომელი ადამიანის ამ მდგომარეობიდან დასახსნელად, იგი ხალხოსნის პრაქტიკულ მოღვაწეობას მჭიდროდ უკავშირებდა მწერლის შემოქმედებით საქმიანობას.

სოფრომ მგალობლიშვილი დაიბადა 1851 წლის 20 ივლისს ზემო ქართლის სოფელ დირბში, მღვდლის ზაქარია მგალობლიშვილის ოჯახში. მამამისი სემინარიის კურსდამთავრებული იყო და მასწავლებლადაც უმუშავია ერთხანს. დედა, მარიამ ბიბილური ბავშვს ქართული ტრადიციების სიყვარულით ზრდიდა, ქართული წერა–კითხვა (მხედრული და ხუცური) სოფრომს მამამ ასწავლა.

მომავალ მწერალს ბედმა არგუნა ბავშვობიდანვე გაცნობოდა და უშუალო კავშირში ყოფილიყო გლეხის ცხოვრებასთან, რამაც გეზი მისცა მის შემოქმედებას, სოფელი, მშრომელი ხალხი, ბუნება მისთვის საუკეთესო შთაგონება იყო.

სწავლა–განათლება მან ჯერ კიდევ გორის სასულიერო სასწავლებელში /1860–1867 წწ./ ხოლო შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში /1867–1873 წწ./ მიიღო, ს. მგალობლიშვილის გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას დიდად შეუწყო ხელი სემინარიის ბიბლიოთეკამ, სადაც სასულიერო ლიტერატურის გარდა, დაცული იყო ისტორიული და ფილოსოფიური ხასიათის წიგნები, მწერლების: შექსპირის, ბაირონის, შილერის, დასავლეთ ევროპის სხვა გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებები, თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებებში „წარსულიდან“ ს. მგალობლიშვილმა მოგვითხრო ამ სასწავლებელში გამეფებულ სწავლა–აღზრდის უხეშ მეთოდებზე, რითაც ამხილა იმდროინდელი განათლების მახინჯი სისტემა.

სემინარიის მოწაფეებმა, ი. გოგებაშვილის დახმარებით, დააარსეს ხელნაწერი ჟურნალი „შრომა“. სოფრომ მგალობლიშვილმა იქ მოათავსა თავისი პირველი მოთხრობა – „რა მიზეზია“, რომელიც მისი ცნობილი მოთხრობის „დედა–მაიას“ პირველ მოკლე ვარიანტს წარმოადგენდა. სამოციანი წლების ქართველი მოზარდი თაობის საზოგადოებრივ–პოლიტიკური გათვითცნობიერების საქმეში დიდ როლს თამაშობდა ქართულ პერიოდულ გამოცემათა რედაქციები. ჯერ ილიას ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1863) და შემდეგ გაზეთი „დროება“ გ. წერეთლის რედაქციით (1866 წლიდან), იკრებდნენ თავის გარშემო საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოწაფეებს და აკისრებდნენ მათ საკორესპონდენციო დავალებებს, კორექტურას, ნედლი მასალების შეკრებას, თარგმნას რუსულიდან და აგრეთვე პატარა წერილებსა და ნარკვევების დამუშავებას,. 1871 წლიდან გამოდიოდა ჟურნალი „კრებული“, ნ. ნიკოლაძის რედაქციით, რომელმაც აქტიურად გააჩაღა მუშაობა ახალგაზრდობას შორის. სემინარიაში ყოფნის დროს სოფრომმა დაწერა ერთი წერილი – „ძველ–ძველი ამბები“ და მოათავსა 1872 წლის „დროების“ № 41–ში.

1873 წელს მგალობლიშვილმა დაამთავრა სემინარია და იმავე წელს დაიწყო სამსახური გორის სასულიერო სკოლაში რუსული და ქართული ენების მასწავლებლად, როგორც პროფ. გ. თავაზიშვილი აღნიშნავს: „ქართული ენა იმხანად არ ითვლებოდა სავალდებულო საგნად, მაგრამ სოფრომ მგალობლიშვილმა უსასყიდლოდ იკისრა მისი სწავლება და თავისი გულმოდგინე მუშაობით ისეთი მაღალი ავტორიტეტი შეუქმნა ქართულ ენას, რომ შემდეგ ის სავალდებულო საგნად გამოაცხადეს“.

გორში დემოკრატიული იდეებით გატაცებული ახალგაზრდა, რომელიც ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს შეუერთდა ხალხოსნური მოძრაობის ნაკადს, ჩაება აქტიურ ხალხოსნურ–რევოლუციურ მუშაობაში, დადიოდა „ხალხში საქადაგებლად“, იყო გორის ხალხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთა ფარული ორგანიზაციის წევრი. ცნობილია, რომ ქ. გორი იყო ქართველ ხალხოსანთა მოძრაობის ცენტრი, სადაც სჩქეფდა რევოლუციური ცხოვრება, ტარდებოდა საიდუმლო კრებები, კონფერენციები. საქართველოს ხალხოსანი მწერლები და მათ შორის სოფრომ მგალობლიშვილი თავიდანვე გატაცებული იყვნენ ილია ჭავჭავაძის ლოზუნგით: „ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“. ჯერ კიდევ მოწაფეობის პერიოდში გაიხადა ეს სიტყვები თავის მოქმედების დევიზად სოფრომ მგალობლიშვილმა. „სწავლა უნდა ცხოვრებისათვის გამოვიყენოთ“, – აცხადებდა იგი სემინარიაში სწავლის დროს. ისინი გლეხობას უხსნიდნენ, თუ რა იყო მიზეზი მათი გაჭირვებისა და უუფლებობისა, ამხედრებდნენ უსამართლო წესწყობილების წინააღმდეგ. მათ, მართალია, დაანახვეს გლეხობას თავიანთი უუფლებობა, მეფის თვითმპყრობელური წყობილების უსამართლობა, მაგრამ სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის დამხობის გზა ვერ უჩვენეს. როდესაც დარწმუნდნენ, რომ ხალხი მათ „არ იკარებდა“, ქართველი ხალხოსნები გადავიდნენ კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობაზე. სოფრომ მგალობლიშვილი ამ საქმიანობაშიც უშუალო მონაწილეობას იღებდა, რევოლუციური მოღვაწეობისათვის მწერალი ხშირად განიცდიდა პოლიციისაგან რეპრესიებს, მეფის პოლიციას არ დარჩა შეუმჩნეველი გორელი ხალხოსნების, მათ შორის, სოფრომ მგალობლიშვილის რევოლუციური მუშაობა. სოფრომი ორჯერ იქნა დატუსაღებული, პირველად 1876 წ, ბრალდება ვერ დაუმტკიცეს და მალევე გაათავისუფლეს. მეორედ 1878 წელს და გორის საპყრობილეში მოათავსეს. საპყრობილედან თავის დაღწევის შემდეგ, სოფრომი კვლავ დაუბრუნდა თავის საქმიანობას. ის დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა გორის მოწაფეთა და მოწინავე მასწავლებელთა შორის. მას ავტორიტეტს უქმნიდა თავისი თავდადებული შრომა ქართული ენის სწავლების მაღალი ხარისხისათვის.

ს. მგალობლიშვილმა მკაცრად გაილაშქრა მეფისდროინდელი სასულიერო განათლების სისტემის წინააღმდეგ, რომელიც უმძიმეს შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი ორგანიზაციით, ხელმძღვანელობის ფორმებითა და მეთოდებით. მაშინდელ ანტიხალხურსა და ანტიეროვნულ სკოლას მწერალი უწოდებს „სიბნელის წყვდიადს“, საიდანაც ათასში ერთი თუ იკვლევდა ცხოვრებაში გზას. რუსეთის საგანმანათლებლო სისტემის ამგვარმა შეფასებებმა განაპირობა კიდეც მწერლის რეპრესიები.

„ხალხში სიარულმა“ საშუალება მისცა ს. მგალობლიშვილს დაახლოებოდა და ახლოს გაეცნო გლეხის ცხოვრება, ღრმად შეესწავლა მისი მდგომარეობა. მწერალი ალბათ სწორი იყო, როდესაც ქვეყნის ძლიერებისა და მაღალი ზნეობის საფუძვლად ქართულ სოფელსა და მის მოსახლეობას მიიჩნევდა. ყველაფერმა ამან შემდეგ გამოხატულება ჰპოვა მწერლის პირველი პერიოდის მხატვრულ შემოქმედებაში. ხალხის ცხოვრებაზე დაკვირვებით მან შექმნა შესანიშნავი მოთხრობები: „დედა მაია“, „ჯორ–ზაქარა“, „ღამის მეხრე ცეცო“, „წითელი სარჩული“, „დიდ ზალაში“, „დემეტრეს სახლობა და გმირისეული ქალი“, „მთიული სოსე“, „მეველე“, „წარსულიდან“ და ბევრი სხვა.

ს. მგალობლიშვილის პირველი მოთხრობა „დედა მაია“ 1881 წელს გამოქვეყნდა. ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში ხალხის უმთავრეს მტრად სახელმწიფოებრივი სისტემა კი არ არის მიჩნეული, არამედ გლეხთა უსწავლელობა და ცრურწმენა. ხალხს უკვე ჰქონდა სათანადო მისწრაფება განათლებისაკენ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ იყენებდა მას პრაქტიკულ ცხოვრებაში. მწერალს სურს, რომ წიგნიერება აქციოს მოქმედ ძალად და ამით უფრო გააფართოოს მისი შეძენის სურვილი მშრომელთა შორის. მისი აზრით, შინაურ და გარე მტერთან „ბრძოლა სწავლის იარაღით უნდა და არა ხმლითა“.

ს. მგალობლიშვილი ხშირად წერდა ფსევდონიმებით: „ზაქარიაძე“, „მგზავრი კოხი“, „გუნცაძე“, „წაკალა“, „კიკია“ და სხვ. იგი თავის შემოქმედებაში უხვად იყენებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს: ლექსებს, გადმოცემებს, თქმულებებს, რაც ამრავალფეროვნებს ამბავს და ამძაფრებს პატრიოტულ სულისკვეთებას, აქ მოთხრობილია თქმულებები „საქოლავის შესახებ“, „ნაკედლარისა და წუნარის ბრძოლები“, არსენა ოძელაშვილისა და ხიზაბავრელის შესახებ, თამარსა და ერეკლე მეფეზე. იგი ხშირად მიმართავს აგრეთვე ცნობილი მწერლების ლექსების ციტირებას. იყენებს ილიას, აკაკის, გრ. ორბელიანის, დ. გურამიშვილის სტრიქონებს ამა თუ იმ აზრის ნათელსაყოფად.

ს. მგალობლიშვილი, როგორც ხალხოსანი მწერალი, გადაჭარბებით აფასებდა ინტელიგენციის როლს რევოლუციურ მოძრაობაში, მწერალი თვლიდა, რომ მხოლოდ ინტელიგენციას შეეძლო გლეხობაში განათლებისა და პროგრესის შეტანა“ („წარსულიდან“, „საფლავში ჩამომძახე“).

ფასდაუდებელია მგალობლიშვილის როლი

ქართული საბავშვო მწერლობის განვითარებაში. იგი ერთ–ერთი პირველი მწერალია, რომელმაც საზოგადოდ ბავშვი აქცია მოთხრობის მთავარ გმირად („ყაყიტას ქურდები“), „თინიას გიშერა“, „მელია“, „უკვდავების წყარო ვარ“, „სიყმაწვილის მოგონებანი“ და სხვ. მათ არა მარტო შემეცნებითი, აღმზრდელობითი ღირებულება აქვს, ისინი ესთეტიკურადაც საყურადღებო არიან. მათ დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. მათში გამოკვეთილია ბავშვისა და ბუნების შეუქცევადი კავშირი.

იაკობ გოგებაშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა ს. მგალობლიშვილის საყმაწვილო მოთხრობებს, ისინი ხშირად შეჰქონდა თავის „ბუნების კარსა“ და „დედა ენაში“. ს. მგალობლიშვილის შემოქმედებაში რეალისტური მოთხრობების ჟანრის გვერდით, ვხვდებით დოკუმენტური პროზის ნიმუშებს. მწერალს კარგად ჰქონდა შეგნებული ამგვარი ლიტერატურის საჭიროება. ს. მგალობლიშვილმა ავტობიოგრაფიული ხასიათის რამდენიმე თხზულება დაგვიტოვა, მათ შორის „წარსულიდან“, „მოგონებანი“, „სიყმაწვილის მოგონებანი“, სოციალ–რევოლუციური წრე (ხალხოსნები).“ მათში XIX საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი საკითხია გაანალიზებული და შეიცავს ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვან ფაქტოგრაფიულ მასალას. მცირე ერების პრობლემას ეძღვნება სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობა „ზეციერო გამიღიმე“. ეს ნაწარმოები პირველი მსოფლიო ომის დროს შეიქმნა და დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (1916, № 757) მას არ იცნობს თანამედროვე მკითხველი. „ჩვენისთანა პატარა ერები დიდმა სახელმწიფოებმა ლამის ჩაყლაპოს, დაიბეგროს, სული ამოართვას, მიზეზად პატარა ერები უნდა გავათავისუფლოთ, ამაზე ატყდა ომი, მაგრამ პატარა ერები კი შიგ გამოჭყლიტეს; ს. მგალობლიშვილი ქართველ ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებს. მწერლის შემოქმედების მთავარი პერსონაჟი – უმთავრესად გლეხია, მის ინტერესთა სფეროში ნაკლებად შედის მუშათა კლასი.

1914 წლიდან ს. მგალობლიშვილმა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაიწყო მოგონებათა გამოქვეყნება სათაურით „ქართველ მწერალთა წერილები“. წერილები ეძღვნება ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ალექსანდრე ყაზბეგს, იაკობ გოგებაშვილს, იოსებ დავითაშვილს, გიორგი წერეთელს და სხვ.

ს. მგალობლიშვილს ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან. მის მიერ შექმნილი პორტრეტები ჩვენი სახელოვანი წინაპრებისა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, რადგან ავტორი უფრო მეტად ფაქტების მოხმობით ცდილობს წარმოგვიდგინოს ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის დამაშვრალი ამ ორი ბუმბერაზი მოღვაწის სახე, თუმცა პორტრეტებიდან იკვეთება ავტორიც, ობიექტური მჭვრეტელი, სახელოვან თანამედროვეთა ღირსეული შემფასებელი.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ალექსანდრე ყაზბეგი დიდად აფასებდნენ სოფრომ მგალობლიშვილის მწერლურ ტალანტს, ილია ჭავჭავაძე, როცა სოფრომს „ივერიაში“ იწვევდა, წერდა: „თქვენის კალმის ნაწარმოებისათვის ჩვენის რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი“.

აკაკი წერეთელი ყურადღებით ეცნობოდა ს. მგალობლიშვილის თხზულებებს და ხშირად შესაფერის რჩევებსაც აძლევდა, როცა „ნაცადი ხელის ძალიანი შალაშინი“ აკლდა მგალობლიშვილის მოთხრობებს.

სოფრომ მგალობლიშვილის მხატვრული სიტყვა „ხალხოსნური მწერლების მხატვრული შემოქმედების დამახასიათებელი სოციალური ნიშნების მატარებელია“. მწერალი კარგად იცნობდა ხალხის ცხოვრებას, მის ენას, ქართლის ბუნებას. ყოველივე ეს მას საშუალებას აძლევდა, რეალურად და დამაჯერებლად დაეხატა მშრომელი გლეხების ტანჯვითა და ვარამით სავსე ცხოვრება. თავის მხატვრულ ნაწარმოებებს ს. მგალობლიშვილი იყენებდა საკუთარი ხალხოსნური იდეების პროპაგანდისათვის. მწერლის მთელი შემოქმედება გამოხატავს მის მხურვალე მისწრაფებასა და ოცნებას მშრომელი ხალხის ცხოვრების უკეთ მოწყობაზე.

ლიტერატურა ს, მგალობლიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე:

ბარამიძე ლ. სოფრომ მგალობლიშვილი. ცხოვრება და შემოქმედება – თბ., 2005. – 27 გვ.

თავზიშვილი გ. სოფრომ მგალობლიშვილი. – თბ., 1956. – 73 გვ.

მგალობლიშვილი ს. მოთხრობები // ქართული პროზა: წიგნი 9 – თბ., 2010. მებუკე გ. ხალხოსანი მწერლები, – თბ., 1962. – 62 გვ.

საღირაშვილი ნ. ქართული საბავშვო მწერლობა: XIX ს. – თბ., 1998. –1 49 გვ.

ინფორმაცია

საპატიო წოდებების მინიჭება უცხოელ მეცნიერებს

მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ამერიკელი მეცნიერების ერთი ჯგუფის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება. ჩატარდა უნივერსიტეტის ფართო საზოგადოების სხდომა, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ: ნიუ ჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო და გლობალურ ურთიერთობათა საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი ქალბატონი დიანა რეგულსკა; ოქსფორდის უნივერსიტეტის ინტერნაციონალური ურთიერთობათა სპეციალისტი, პროფესორი ბატონი ნილ მაკფერლიანი; მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორი ბატონი სტივენ ჯონსი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი რექტორი პროფესორი ბატონი ალექსანდრე კვიტაშვილი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდნენ: თბილისში აშშ საელჩოს კულტურის ატაშე ქალბატონი ლოლა პეტროვა; წარმომადგენელი თბილისში ბრიტანეთის საელჩოდან; პროფესორი ბატონი ალექსანდრე რონდელი, პროფესორი ქალბატონი მარინე ჩიტაშვილი, სტუდენტი ქეთევან ჩხეიძე.

გამოცხადდა თსუ–ს აკადემიური კონსულის გადაწყვეტილება, რის შემდეგაც ამერიკიდან მოწვეულ პირებს მიენიჭათ თსუ საპატიო დოქტორის წოდებები. სამადლობელი სიტყვით გამოვიდნენ: ქ–ნ დიანა რეგულსკა, ბ–ნი ნილ მაკფერლინი და ბ–ნი სტივენ ჯონსი. მათ დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საამაყოა მათთვის თსუ–ს დოქტორობა და მადლობა მოახსენეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და მთელ კოლექტივს.

სხდომაზე გამოსულმა ბატონმა სტივენ ჯონსმა სიტყვა ქართულ ენაზე წარმოსთქვა. ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა" სრულად და შეუცვლელად სთავაზობს თავის მკითხველებს ამ სიტყვას. მანამდე გვინდა მათ გავაცნოთ სტივენ ჯონსის მოკლე ბიბლიოგრაფიული ცნობების თარგმანი, რომელშიც ნათქვამია:

„პროფესორმა სტივენ ჯონსმა მიიღო Ph. D – ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების სკოლაში 1984 წელს. ასწავლიდა კალიფორნიის, ლონდონის უნივერსიტეტებსა და ოქსფორდის კოლეჯ უნივერსიტეტში.

1983 წლიდან იგი ასწავლის მაუნდ ჰოლიოკის კოლეჯში ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პროფესორ ჯონსს 70–ზე მეტი სტატია აქვს დაწერილი საქართველოს შესახებ, მან გამოაქვეყნა „სოციალიზმი ქართულ ფერებში. ევროპის გზა სოციალ–დემოკრატიისაკენ. 1883–1917" „ომი და რევოლუცია კავკასიაში". ორი მომდევნო წიგნი გამოვა 2012 წელს. 2011–ში ბ–ნი სტივენი გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი. დიდი წვლილი აქვს საქართველოს ეროვნული საბიბლიოთეკო კადრების მომზადების საქმეში.

მას კარგად იცნობს საქართველოს საბიბლიოთეკო საზოგადოება. მჭიდრო კავშირი აქვს საქართველოს ბიბლიოთეკებთან, ცალკეულ პროფესიონალებსა და სტუდენტებთან. არაერთხელ ჩამოსულა საქართველოში სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობისა და ორგანიზაციისათვის. სტივენ ჯონსი საქართველოს დიდი მეგობარია. მან თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს, მის ხალხს, მისი ცხოვრების თანამგზავრია ქართველი ქალბატონი მარინა. ჰყავს ორი ვაჟიშვილი.

სტატია მოამზადა და ინგლისური მასალა თარგმნა

ელენე ჩხიკვაძემ

(ილიას უნივერსიტეტის სტუდენტი)

სტივენ ჯონსი

სიტყვა წარმოთქმული თსუ–ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების დროს

ბატონო სანდრო, ძვირფასო კოლეგებო, სტუმრებო და მეგობრებო! მოგესალმებით!

უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩემი მოწვევისათვის და საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებისათვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ასეთი აღიარება ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

1978 წლის სექტემბერში მე პირველად შემოვდგი ფეხი ამ ღირსშესანიშნავ დაწესებულებაში, როგორც ახალგაზრდა სტუდენტმა დიდი ბრიტანეთიდან. მაშინ მე ჩემს სადოქტორო თემაზე ვმუშაობდი და ამავე დროს ვსწავლობდი ქართულ ენას ჩემი ძვირფასი პედაგოგის – ლეილა გეგეჭაძის ხელმძღვანელობით, რომლის წინაშეც დღესაც კი მაკანკალებს, როცა ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულად ვლაპარაკობ. ამ უნივერსიტეტში გავიცანი საქართველოს საუკეთესო საზოგადოება და შევიძინე მრავალი უძვირფასესი მეგობარი, რომელთა მცირე ნაწილი დღეს ამ დარბაზში იმყოფება.

სამოცდაათიანი წლები საქართველოში სულ სხვა დრო იყო. მაშინ სახელმწიფოდან გაძევების შიშით მე არ შემეძლო გამეხმაურებინა ჩემი დისერტაციის მთავარი თემა – საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორია. ჩემი ეს პატარა საიდუმლო უცნაურად ირეკლავდა იმ დილემას, რომლის წინაშე ყველა დიქტატორული რეჟიმი დგას. განათლება წარმოადგენს როგორც აღმშენებელ ძალას, ასევე ის მის დამანგრეველ ელემენტებსაც შეიცავს. დიქტატორულ რეჟიმებს ყოველთვის ეშინიათ უნივერსიტეტების და სწორედ მაშინ, ჩემს ჩამოსვლამდე ხუთი თვით ადრე, ამ უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებმაც დემონსტრაცია მოაწყვეს ქართული ენის დასაცავად, აჩვენეს საბჭოურ ხელისუფლებას ამ ძალის რეალურობა და პოტენციალი.


სტივენ ჯონსი

მაგრამ, პარადოქსულად, 1978–79 წლებში როგორც თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტს, მე შემეძლო თავისუფლად მეკითხა საბჭოეთის დამანგრეველი ლიტერატურა. ეს ლიტერატურა მე ვიპოვე ჩემთვის ერთ–ერთ უძვირფასეს ეროვნულ დაწესებულებაში – საჯარო ბიბლიოთეკაში. ერთი ავტორი განსაკუთრებულად მეამბოხე სულის პატრონად მომეჩვენა. მისი სახელი იყო ილია ჭავჭავაძე. ჭავჭავაძეს ესმოდა, რომ განათლება იყო წყარო ქართველთა ეროვნული მანსიპაციისა,. მის მოკლე ესეში „ისევ განათლების საკითხზე“ ილია წერდა: „ჩვენ გვავიწყდება, რომ ცოდნა, სწავლა–განათლება დაუშრეტელი წყაროა როგორც კაცადმყოფობისთვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად“. 1889 წელს, როცა ილია ამ სიტყვებს წერდა, მას უნდოდა საქართველოს საზოგადოება დაერწმუნებინა იმაში, რომ განათლება იყო წყარო პიროვნული, ეროვნული და, საერთოდ, კაცობრიობის ლიბერაციისა. ამ აზრების მნიშვნელობა არ შეცვლილა, მხოლოდ მისი განხორციელებისათვის ბევრი დაბრკოლების გადალახვაა საჭირო.

მე გავიზარდე ინგლისში იმ შეგნებით, რომ ყველა ახალგაზრდას, ვისაც სურვილი და უნარი ჰქონდა, შეეძლო უმაღლესი განათლების მიღება. ეს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის აუცილებელი პირობა იყო. სამწუხაროდ, დღევანდელი სიტუაცია სხვანაირია. ჩემს ახალ სამშობლოში – ამერიკის შეერთებულ შტატებში – განათლება კარგავს ადრე დაკისრებულ ფუნქციას, უფრო სწორად – იგი არ არის ადამიანის განთავისუფლების და სოციალური თანასწორობის გაუმჯობესების წყარო. პირიქით, განათლება ხდება მაჩვენებელი უთანასწორობისა და კონფორმისტული აზროვნებისა. ამერიკის შეერთებულ შტატებში საუკეთესო უმაღლესების სტუდენტთა 70% არის შეძლებული ოჯახიდან. ეს ფაქტი მეტყველებს არა მხოლოდ არასამართლიანობასა და ადამიანთა პოტენციალის განუხორციელებლობაზე, არამედ დემოკრატიის როლის დასუსტებაზეც.

მე ვაღიარებ, რომ ვარ იდეალისტი, მაგრამ არა ვარ სულელი–იდეალისტი. ვიცი, რომ საქართველო დიდი პრობლემების წინაშე დგას. საქართველოს აქვს გაჭირვებული ეკონომიკური მდგომარეობა და ლიმიტირებული რესურსები. სწორედ ასეთ პირობებში მყოფი ადამიანებისათვის ვარაუდობდა ჭავჭავაძე, რომ განათლება იყო მათი გზა სოციალური წინსვლისა და კეთილდღეობისათვის.

მაგრამ განათლება შეიძლება ორნაირი სახის იყოს. ერთი – უფრო პრაქტიკული, ვთქვათ, რომელიც სახელმწიფოს და ხელისუფლების მიზნებს გაითვალისწინებს (მაგალითად – პროდუქტულობას და კონკურენციას), მეორე კი – ფართო, სივრცული, რომელიც ხელს უწყობს იმას, რასაც ქართველები ეძახიან „ადამიანის სულის აღზრდას“. „სულის აღზრდის“ განათლება სტიმულს აძლევს მოქალაქეობრივი მოვალეობის გაღვიძებას, კრიტიკულ, სკეპტიკურ აზროვნებას, პოლიტიკურ აქტიურობას და ტოლერანტულობას სხვადასხვა შეხედულებებისა. ასეთი განათლება გზას უკაფავს კეთილშობილურ და ეფექტურ დემოკრატიას.

სამწუხაროდ, განათლება საქართველოში, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში, მიუხედავად 2003 წლის შემდგომ ზოგი გაუმჯობესებისა, უფრო და უფრო ექცევა დასავლეთის მომხმარებლური განათლების მოდელის გავლენის ქვეშ. მენეჯერის და კომ-

პიუტერის სპეციალისტების აღზრდა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ეს განათლება მათ არ ასწავლის, როგორ გახდნენ ღირსეული მოქალაქეები ან სანდო ხელისუფლების წარმომადგენლები. ამისთვის ჩვენ გვჭირდება ისეთი განათლება, რომელიც მოიცავს მილტონ ფრიდმანს, მაგრამ აგრეთვე ლევ ტოლსტოის.

ამას ყველაფერს მე ვამბობ როგორც არასენტიმენტალური პრაგმატიკოსი, რომელსაც საქართველოსთვის სურს, დამოუკიდებლობიდან 20 წლის შემდეგ, – კარგი მმართველობა, მოქალაქეობრივი დემოკრატია, მჭიდრო პოლიტიკური ერთიანობა და ეკონომიური ბარაქა. სწორედ ასეთი მომავლის იმედით ჩამოვდივარ საქართველოში ასე ხშირად და ვმუშაობ ჩემს ძვირფას ქართველ კოლეგებთან ერთად ამ საყვარელ დაწესებულებაში. მრავალი წელი ვსწავლობ ქართულ ისტორიას და პოლიტიკას და ერთში დავრწმუნდი – ამ უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის შენარჩუნება პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველი ძალების გავლენისაგან, წარმოადგენს ჯანსაღი დემოკრატიის არსს საქართველოში.

დიდი მადლობა ყურადღებისთვის.

ვიკიპედია“ დღეს და მომავალში

ინფორმაცია ინტერნეტიდან

WIKIPEDIA
Die freie Enzyklopädie

wikipedia წიგნად გამოვიდა ნაბეჭდ Wikipedia–ში ონლაინ ენციკლოპედიის მასალების მხოლოდ 0,01% შედის, თუმცა მიუხედავად ამისა, წიგნი 500 გვერდიანია.

წიგნის ავტორი რობ მეთიუსია. ინტერნეტ ენციკლოპედიის ნაბეჭდი ვერსია ინგლისურ ენაზეა დაბეჭდილი და 952 ტომისგან შედგება.



ამჟამად გამოცემა დაახლოებით 3 მლნ სტატიას შეიცავს და მას ონლაინ–ვერსიისაგან მუდმივად ემატება ახალი, საინტერესო მასალები.

მსოფლიოს უდიდესი ენციკლოპედია wikipedia ოფიციალურად 2001 წელს გაიხსნა. დღეისათვის მისი ბაზა 20 მილიონამდე სტატიას მოიცავს.

წიგნი გაყიდვაში არ არის, თუმცა მის შემქმნელს სურს, რომ „ვიკიპედიის“ ბეჭდური ვერსია სერიულ წარმოებაში გაუშვას. „ვიპიკედია“ – ეს მსოფლიოში ერთ–ერთი უდიდესი საინფორმაციო–ენციკლოპედიური გაერთიანებაა. მისი მასშტაბების შესახებ ნათლად მეტყველებს მისი დამფუძნებლის – ჯიში უელსის მიმართვა თავის მომხმარებლისადმი, რომელსაც ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ და გვსურს, არა მარტო ცნობად მიიღონ არსებული ფაქტი, არამედ პრაქტიკულად გამოიყენონ ის.

ვიკიპედიის დამფუძნებლის, ჯიმი უელსის მიმართვა

კომერცია არ არის ცუდი. რეკლამირება არ არის ბოროტება. მაგრამ არა აქ. არა ვიკიპედიაში.

როდესაც შევქმენი ვიკიპედია, მე შემეძლო მისი გადაქცევა მოგებაზე ორიენტირებულ ვებ–გვერდად მრავალი სარეკლამო ბანერით, განცხადებით, შემოთავაზებით და ა. შ., მაგრამ მე გადავწყვიტე სხვა რამის გაკეთება. მრავალი წელი ჩვენ ვშრომობთ, რომ მინიმალური ხარჯებით შესანიშნავი საიტი შევქმნათ. ჩვენ ვასრულებთ ჩვენს მისიას, ხოლო სხვებმა ხარჯონ რამდენიც სურთ.

Coogle– ს გააჩნია მიახლოებით მილიონი სერვერი, Yahoo–ს ჰყავს 13,000 თანამშრომელი. ჩენ გვაქვს 679 სერვერი და 95 თანამშრომელი.

Coogle: 1,000,000 სერვერი, 24, 000 თანამშრომელი.

Facebook: 60,000 სერვერი, 2,000 თანამშრომელი.

Microsoft: 220,000 სერვერი, 90,000 თანამშრომელი.

Yahoo: 50,000 სერვერი, 13,900 თანამშრომელი.

ვიკიპედია: 370 სერვერი, 95 თანამშრომელი.

ვიკიპედია არის მსოფლიოს ნომერ მეხუთე საიტი და ყოველდღე მას ნახულობს 420 მილიონი სხვადასხვა ადამიანი, რომელიც მილიონობით გვერდს ათვალიერებს.

წყარო/source: http://www.ambebi.ge

ჩვენი შემოქმედება

გულწრფელი გრძნობით ნათქვამი

მურად მიგრიაული ჩვენი კოლეგაა. 1996 წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და დღემდე მუშაობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად, გატაცებულია პოეზიით, თვითონაც ცდის კალამს. აპირებს გადადგას ნაბიჯები მკითხველებთან დასაახლოვებლად და შემოგვთავაზა თავისი პოეტური შემოქმედების ერთი ნაწილი. გთავაზობთ მის ლექსებს.

მურად მიგრიაული

ჩაფიქრებულა სამყარო

ღმერთმა რომ შექმნა სამყარო,
მოხატა ნაირფერითა,
ყველას აჩუქა სიცოცხლე,
გამრავლდით მთელი ერითა,
შვილიც ხომ გამოგვიგზავნა,
წმინდანი, დიდი გზნებითა...
ვერ ავიტანეთ, ვაწამეთ,
გული ვატკინეთ ქცევითა.

დამძიმდა ქვეყნიერება,
ურწმუნო ხალხის სენითა.
გვიცქერს სამყარო ტკივილით,
გამწარებული ჩვენითა.
რა ქნას, როგორღა გვიშველოს
ფიქრშია, ხომ კი ხვდებითა?
შევიგნოთ, მგონი დრო არის:
ავ საქმეს – მტკიცე უარი!
სიცოცხლე გავილამაზოთ,
კმარა, სიკეთის დრო არი!

რწმენა

ეს რა ხელმა ააშენა,
ეს რა გულმა დაამშვენა,
ეს რა რწმენამ შეინახა
განა ცოტა ჭირი ნახა!
ქვას შეხედე ქვაზე რომ დევს,
საუკუნე ბევრი მოსდევს,
მტკიცედ არის ნაშენები,
ურყევ რწმენით ნამშვენები.
ვინც ააგო ეს ტაძარი,
ვინც ამოჭრა ქვაზე ჯვარი,
ღმერთო, მარად შეუნახე
ჩვენს ქვეყანას მათი გვარი.

აიარა–ჩაიარა

რა გრიგალით აიარა,
რა ღრიალით ჩაიარა!...
ცხოვრებაში ბევრი ნახა,
ბევრიცა ხნა,
ბევრიც თესა,
მაგრამ ვერა,
ვერ დათესა;
წყალიც ასხა –
მიწა დასკდა;
სახლი აგო –
ვერ ააგო;
წინ წავიდა –
უკან აგდო,
ცხოვრებამ მთლად გადააგდო...

ფერება გულსაც სჭირდება

ღმერთო, შენ მიეც გაძლება
გულსა, სადამდეც გასწვდება,

ნუ მიაყენებ ნურც ტკივილს,
გულია – ჰოდა, გასკდება.

ღმერთო, არიდე ნასროლი,
გულისკენ გამონასროლი,
სიტყვა იყოს თუ ისარი
გულს გააპობს და ის არი.

ფერება გულსაც სჭირდება,
იგი ხომ ყველას გვჭირდება.
დაჭრილი გულის აღდგენას
მთელი ცხოვრება სჭირდება.

იმას ვერ შველის წამალი,
სიტყვაა მისთვის მთავარი,
სანამ ვიტყოდეთ რასმესა,
საფიქრი არის მრავალი.

ენა

შენ რა გითხარი, ენაო,
ბევრი რამ შენით ხდებაო,
ხან ისეთ რამეს იტყვი რომ,
ძმა ძმისთვის მტერი ხდებაო.
ზოგჯერ არსათქმელს იძახი,
შავი ღრუბელი დგებაო,
ხანაც ჩუმად ხარ, უმძრახად,
როცა სიმართლე წყდებაო.
ყოველთვის ეგრე როდია,
სიკეთეც ბევრჯერ გდომია,
ნაწყენი კაცის განკურვნა
წამალზე მეტად გცოდნია.
მაინც ერთს გეტყვი ძმურადა,
ჭკუას ნუ უსწრებ მცდურადა,
რად გეჩქარება უჭკუოდ
სიტყვის გატყორცნა მტრულადა...
დაფიქრდი, ჭკუას მოუხმე,
სიტყვა გამოთქვი ბრძნულადა.

კაცის ცხოვრება

კაცის სიცოცხლე მოკლეა,
რაღა აქვს მოსაკლებელი?
ისედაც მოსწრებაზეა,
თუ რამ აქვს მოსასწრებელი.
ზოგი სიხარბით ვერ ძღება,
ზოგი სულმდაბლად ეცემა,
ზოგს კიდევ სძინავს იმ ფიქრით –
რომ ყველაფერი ერგება.
კაცის ცხოვრება რაშია? –
მისი ნაბიჯის სვლაშია,
თუ დადის მრუდე ნაბიჯით,
ვერ ივლის სწორად კვალშია.

ფშავლის ბუნება

ფშავლის ბუნება ნისლია,
მომდგარი მაღალ მთასაო,
დღედაღამ იმის ფიქრშია –
რა არგოს თავის ხალხსაო.
ზოგი ლექსა წერს, ლექსითვე
დაატკბობს თავის ძმასაო,
ზოგიც შრომაში, ჯაფაში
ატარებს თავის ჟამსაო,
ფიცხია, მაგრამ დინჯია,
არ მოგაბეზრებს თავსაო...
ნუ ჰკადრებ, არც ის შეგკადრებს,
თავისთვის ივლის გზასაო.

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები



◆ 12 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიამ „ერითსულოვნება“ წარმოადგინა სატელევიზიო პროექტის „ქართული ალბომის“ საგამოფენო ვერსია.

◆ 19 სექტემბერს ალექსანდრიაში (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა) ალექსანდრიის ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმს ხელი მოაწერეს ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დირექტორმა დოქტორმა ისმაილ სერაგელდინმა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტის დირექტორმა, პროფესორმა ემზარ ჯგერენაიამ.

◆ 20–22 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „საზოგადოება და ისტორიული გარემო“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭო, საქართველოს ეროვნული კავშირი და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატი.

◆ 27 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ცნობილი ქართველი მხატვრების საქველმოქმედო გამოფენა. გამოფენა მიეძღვნა სოხუმის დაცემის მე–18 წლისთავს.

◆ 28–30 სექტემბერს ბაქოში ჩატარდა წიგნის მეორე საერთაშორისო ბაზრობა, ბაზრობაში პირველად მიიღო მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ. აზერბაიჯანის ეროვნულ ბიბლიოთეკას საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საჩუქრად გადასცა 50 დასახელების წიგნი.



◆ 12 ოქტომბერს „ფონდი ღია საზოგადოება – საქართველოსა“ და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ბათუმის საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა „ქართული ბეჭდური მედიის წარსული და აწმყო“. ასეთივე გამოფენა მოეწყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

◆ 15–16 ოქტომბერს ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარდა მე–3 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია მიეძღვნა ვაჟა–ფშაველას დაბადებიდან 150–ე

ნინოწმინდის საბავშვო ბიბლიოთეკა

წლისთავს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ორმოცზე მეტი მოხსენება საქართველოს ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვ. დარგებიდან. კონფერენციის მასალები გამოიცემა ბეჭდური სახით.

◆ 27–28 ოქტომბერს აშშ–ს საელჩოსა და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ინიციატივით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ბიბლიოთეკის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ეპოქაში: ტენდენციები და გამოწვევები". კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: აშშ–ის საინფორმაციო რესურსცენტრის, საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკების, საქართველოს კულტურის სამინისტროს, თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

◆ 8–11 ნოემბერს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარდა სემინარი „ციფრული ბიბლიოთეკები". სემინარს უძღვებოდა აშშ–ის მასაჩუსეტსის სიმენსის კოლეჯის დეკანის მოადგილე ტერი პლამი. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის ბიბლიოთეკები და ის უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ახლა ქმნიან ციფრულ ბიბლიოთეკებს.

9 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ელექტრონული ბიბლიოთეკის ახალი კოლექციის „საქართველოს პრეზიდენტები და პარლამენტის თავმჯდომარეები პრესაში" პრეზენტაცია, გაციფრებული მასალა განთავსებულია ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე მისამართზე: www.nplg.gov.ge.

9 ნოემბერს საქართველოში აშშ–ს საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა უფროსმა მაიკლ თარნერმა და საინფორმაციო რესურსების სპეციალისტმა ნანა შუღლაძემ საქართველოს

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცეს სხვადასხვა შინაარსის 113 ეგზ, წიგნი და ჟურნალი.

17 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ადამ მიცკევიჩის პოემის „პან თადეოზის" ქართული თარგმანის პრეზენტაცია. თარგმანი ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს ვიტალი უგრეხელიძეს. თარგმანი დაამუშავა, დედანს შეუდარა და გამოსაცემად მოამზადა პოლონეთში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა დავით ყოლბაიამ.

საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების კალენდარი – 2012 წელი

იანვარი

7 – შობა უფლის ჩვენისა იესო ქრისტესი

13 – 140 წლის წინათ (1872 წ.) დაიბადა ნინო ნაკაშიძე (ქალიშვილობაში ანთაძე) – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვ. 1963 წ.

14 – 95 წლის წინათ (1917 წ.) დაიბადა ლადო ასათიანი – პოეტი, გარდაიცვ. 1943 წ.

15 – 390 წლის წინათ (1622 წ.) დაიბადა მოლიერი – ფრანგი დრამატურგი, გარდაიცვ. 1673 წ.

26 – 95 წლის წინათ (1917 წ.) დაიბადა ქეთრინ ვივიანი – ინგლისელი მწერალი, მთარგმნელი, ქართველოლოგი. თარგმნა „ვეფხისტყაოსანი". და „წიგნი სიბრძნე სიცრუისა".

თებერვალი

5 – 210 წლის წინათ (1802 წ,) დაიბადა მარი ფელისიტე ბროსე – ფრანგი ქართველოლოგი, მკვლევარი, გარდაიცვ. 1880 წ.

7 – 200 წლის წინათ (1812 წ.) დაიბადა ჩარლზ დიკენსი – ინგლისელი მწერალი. გარდაიცვ. 1870 წ.

13 – 160 წლის წინათ (1852 წ.) დაიბადა ნიკოლომური – მწერალი, გარდაიცვ. 1915 წ.

15 – 85 წლის წინათ (1927 წ.) დაიბადა არჩილ სულაკაური – მწერალი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971 წ.). გარდაიცვ. 1997 წ.

26 – 125 წლის წინათ (1887 წ.) დაიბადა აკაკი შანიძე – ენათმეცნიერი. აკადემიკოსი (1941), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1943), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1987), გარდაიცვ. 1987 წ.

– 210 წლის წინათ (1802 წ.) დაიბადა ვიქტორ ჰიუგო – ფრანგი მწერალი. გარდაიცვ. 1885 წელს.

მარტი

1 – 95 წლის წინათ (1917 წ.) დაიბადა მირზა გელოვანი – პოეტი. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (მიენიჭა სიკვდილის შემდეგ, 1975 წ.). დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში, 1944 წ.

5 – 80 წლის წინათ (1932 წ.) დაიბადა ნოდარ წულეისკირი – მწერალი.

აპრილი

3 – 95 წლის წინათ (1917 წ.) ვანის რაიონის სოფელ შუამთაში დაიბადა გიორგი ნაფეტვარიძე – პოეტი. 1944 წელს დაიღუპა დიდ სამამულო ომში.

16 – 365 წლის წინათ (1647 წ.) დაიბადა მეფე–პოეტი არჩილი. გარდაიცვ. 1713 წ.

მაისი

4 – 230 წლის წინათ (1782 წ.) დაიბადა თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) მწერალი, პოეტი, მეცნიერი, გარდაიცვ. 1846 წელს.

7 – 155 წლის წინათ (1857 წ.) დაიბადა ვასილ ბარნოვი (ბარნაველი) – მწერალი. გარდაიცვ. 1934 წ.

12 – 95 წლის წინათ (1917 წ.) დაიბადა ბაგრატ შინკუბა – აფხაზი მწერალი, დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985 წ.).

ივნისი

9 – 140 წლის წინათ (1872 წ.) დაიბადა კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილი – რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, გარდაიცვ. 1933 წ.

29 – 120 წლის წინათ (1892 წ.) დაიბადა პაოლო იაშვილი – პოეტი. გარდაიცვ. 1937 წ.

ივლისი

7 – 160 წლის წინათ (1852 წ.) დაიბადა არტურ ლაისტი – გერმანელი ქართველოლოგი, გარდაიცვ. 1927 წ.

11 – 80 წლის წინათ დაიბადა ტარიელ ჭანტურია – პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი (1978), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1992).

24 – 210 წლის წინათ (1802) დაიბადა ალექსანდრე დიუმა (მამა) – ფრანგი მწერალი, გარდაიცვ. 1870 წ.

29 – 80 წლის წინათ (1932 წ.) დაიბადა ვახტანგ ჯავახაძე – პოეტი და მწერალი. გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

აგვისტო

2 – 85 წლის წინათ (1927 წ.) დაიბადა რევაზ თაბუკაშვილი – მწერალი, კინორეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გარდაიცვ. 1990 წ.

28 – 90 წლის წინათ (1922 წ.) დაიბადა მარიამ ლორთქიფანიძე – აკადემიკოსი.

სექტემბერი

10 – 150 წლის წინათ (1862 წ.) დაიბადა დავით კლდიაშვილი – მწერალი. გარდაიცვ. 1931 წ.

25 – 115 წლის წინათ (1897 წ.) დაიბადა უილიამ ფოლკნერი – ამერიკელი მწერალი. გარდაიცვ. 1962 წ.

ოქტომბერი

9 – 165 წლის წინათ (1847 წ.) დაიბადა რაფიელ ერისთავი – მწერალი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვ. 1890 წ.

– 465 წლის წინათ (1547 წ.) დაიბადა მიგელ დე სერვანტესი – ესპანელი მწერალი. გარდაიცვ. 1616 წ.

20 – 85 წლის წინათ (1927 წ.) დაიბადა ნაზი კილასონია – პოეტი. გარდაიცვ. 1988 წ.

ნოემბერი

8 – 175 წლის წინათ (1837 წ.) დაიბადა ილია ჭავჭავაძე – მწერალი, საზოგადო მოღვაწე. წმინდა ილია მართალი. გარდაიცვ. 1907 წ.

13 – 145 წლის წინათ (1867 წ.) დაიბადა დუტუ მეგრელი (ნამდვილი სახელი და გვარი დიმიტრი ხოშტარია) – პოეტი. გარდაიცვ. 1938 წ.

14 – 90 წლის წინათ (1922 წ.) დაიბადა მურმან ლებანიძე – პოეტი. გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, (1973 წ.). გარდაიცვ. 2002 წ.

21 – 160 წლის წინათ (1852 წ.) დაიბადა ბესარიონ ნიჟარაძე, თავისუფალი სვანი – პუბლიცისტი, ეთნოლოგი, ფოლკლორისტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1919 წ.

– 185 წლის წინათ (1827 წ.) დაიბადა მიხაი ზიჩი – უნგრელი მხატვარი, „ვეფხისტყაოსნის" დამსურათებელი. გარდაიცვ. 1906 წ.

17 – 165 წლის წინათ (1847 წ.) დაიბადა გიორგი შარვაშიძე – მწერალი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1918 წ.

25 – 115 წლის წინათ (1897 წ.) დაიბადა ტერენტი გრანელი (ნამდვილი გვარია კვირკველია) – პოეტი. გარდაიცვ. 1934 წ.

26 – 85 წლის წინათ (1927 წ.) დაიბადა თამაზ ჩხენკელი – პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე.

დეკემბერი

4 – 195 წლის წინათ (1817 წ,) დაიბადა ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი, პოეტი, გარდაიცვ. 1845 წ.

– 145 წლის წინათ (1867 წ.) დაიბადა შიო არაგვისპირელი (ნამდვილი გვარი დედაბრიშვილი) – მწერალი. გარდაიცვ. 1926 წ.

– 215 წლის წინათ (1797 წ.) დაიბადა ჰაინრიხ ჰაინე – გერმანელი პოეტი, გარდაიცვ. 1856 წ.

– 150 წლის წინათ (1862 წ.) დაიბადა ნიკო ფიროსმანი (ფიროსმანაშვილი) – მხატვარი. გარდაიცვ. 1918 წ.

– 130 წლის წინათ (1882 წ.) დაიბადა ალექსეი ნიკოლოზის ძე ტოლსტოი. რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვ. 1945 წ.

შემდგენელი თბილისის მირზა გელოვანის სახელობის
ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის გამგე:

ქეთევან ნიკურაძე

ლიტერატურა გალაკტიონ ტაბიძესა და მისი შემოქმედების შესახებ

ინფორმაციული ცნობა

საქართველოში გალაკტიონ ტაბიძესა და მისი შემოქმედების შესახებ უამრავი ნაშრომი და სტატიაა შექმნილი. ჯერჯერობით არ არსებობს გალაკტიონის სრულყოფილი ბიბლიოგრაფიული ცნობარი. პირველად პოეტის შესახებ არსებული ლიტერატურის ასახვა განხორციელდა მისი დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით, როდესაც ეროვნულმა ბიბლიოთეკამ 1973 წელს გამოაქვეყნა სარეკომენდაციო საძიებელი; შეიცავს 100 გვერდს; შემდგენლები არიან: ნ. აკერმანი, ნ. ლაიშვილი, ნ. საპატოვა.

მეორე, უფრო სრულყოფილი გამოცემა განახორციელა გამომცემლობა „მეცნიერებამ" 1986 წელს გ. ტაბიძის დაბადების 95 წლისთავთან დაკავშირებით; მოიცავს 1910–1984 წლებს და შეადგენს 128 გვერდს. შემდგენელია იოსებ ლოთქიფანიძე.

ამ ცნობარების გამოყენებით ბიბლიოთეკებს საშუალება ექნებათ უფრო ფართოდ და საფუძვლიანად გააშუქონ გალაკტიონისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

n84/74

რეკომენდაცია:

იმასთან დაკავშირებით, რომ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების წელი სხვადასხვა წყაროში სხვადასხვაგვარადაა მოცემული (1891 წ. 1892 წ.) და მიმდინარე წელს შესაფერისად არ აღნიშნულა დიდი მგოსნის დაბადებიდან 120 წლისთავი, მომავალი 2012 წელი სასურველია გამოცხადდეს გალაკტიონის წლად.

საცნობოდ საკითხავი

მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული წიგნები

არსებობს ბესტ–სელერები და არსებობს წიგნი, რომელიც ერთი ეგზემპლარია, და ყველაზე ძვირად იყიდება. რეკორდული ფასები ამ წიგნებს არა მათი შინაარსის, არამედ წარსულის გამო აქვთ. წარმოგიდგენთ მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული წიგნთა ათეულს (უკუთვლით):

10. ელიზაბეტ დე ბოჰუმის საათები და ფსალმუნები

ელიზაბეტ დე ბოჰუმი 1340–45 წლებში ნორტ-ჰემპტონის გრაფინია იყო. წიგნი 1988 წლის 21 იანვარს 1.4 მლნ ევროდ ლონდონის აუქციონზე გაიყიდა.

9. ილუსტრირებული მანუსკრიპტი

ილუსტრირებული მანუსკრიპტი, რომელიც 1490–95 წლებით თარიღდება, ფრანგულია. მისი ფასი 1.7 მლნ ერვოა. წიგნი ლონდონში 1989 წელს გაიყიდა.

8. ებრაული ბიბლია

არამეულ და ებრაულ ენებზე დაწერილი წიგნი, რომელიც კანონიკის სრულ დაცვას აღწერს და ყველა ბიბლიურ ტექსტს მოიცავს. მისი ფასი 1989 წელს 1.8 მლნ ევრო იყო.

7. ამერიკის ჩიტები

ჯონ ჯეიმს ადუბონის გამოცემლული წიგნი, რომელიც ჯონმა თავის ხელით მოხატა. წიგნში ასახული თითოეული ჩიტი, რომლებიც რეალურ ზომებს შეესაბამება. ავტორი პროფესიით ნატურალისტი და მხატვარია. 1989 წელს „ამერიკის ჩიტები" ნიუ–იორკში 8.8 მლნ დოლარად გაიყიდა.

6. მოცარტის მეათე სიმფონიის ხელნაწერი

მუსიკალური მანუსკრიპტი, რომელიც ეპოქალურმა კომპოზიტორმა ვოლფგანტ ამადეუ მოცარტმა საკუთარი ხელით დაწერა, ერთ–ერთ ყველაზე ძვირადღირებულ წიგნთა სიაშია. 1987 წელს მოცარტის ხდელნაწერის ფასი 2.2 მლნ ევრო იყო.

5. ნორტუმბერლანდის ჰერცოგის ბესტიარიუმი

ბესტიარუმის ხელნაწერი შუა საუკუნეებით თარიღდება და ცხოველთა სამყაროს ალეგორიული აღწერების ერთგვარი ენციკლოპედიაა. წიგნი რეალური და არარეალური არსებობის 112 ფერად ილუსტრაციასა და მათი აღწერის 148 გვერდს მოიცავს. მისი ფასი 2.7 მლნ ერვოა.

4. გუტენბერგის ბიბლია

გუტერბერგის ბიბლია ერთ–ერთი პირველია იმ წიგნთა შორის, რომელიც იოჰან გუტენბერგმა და იოჰან ფასტმა გამოსცეს. ის 1455 წლით თარიღდება სულ ამ რელიგიური შინაარსის წიგნის 180 ეგზემპლარი დაიბეჭდა. თუმცა ჩვენს დრომდე მხოლოდ 48 მათგანმა მოაღწია. ბიბლია 1987 წელს Christie's–ს აუქციონზე 5.3 მლნ ევროდ გაიყიდა.

3. კენტერბერის ზღაპრები

ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერის ზღაპრები" 1477 წელს გამოიცა. დღეს მისი მხოლოდ 12 ეგზემპლარია შემორჩენილი. ის Christie's–ს აუქციონზე 1998 წელს 4.6 მლნ ევროდ გაიყიდა.

2. ლომი ჰენრის სახარება

საქსონიისა და ბავარიის ჰერცოგის, ჰენრიხ ლომის მიერ 1188 წელს შესრულებული ხელნაწერი სახარება 226 გვერდისაგან შედგება. უნიკალური ილუსტრაციებით გაფორმებული წიგნი ჰენრიხის სიკვდილის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა. საბოლოოდ ის მე–19 საუკუნეში პრაღაში იპოვეს. წიგნი Sothebys–ს აუქციონზე გაიყიდა. მისმა ღირებულებამ 8.1 მლნ ევრომდე მიაღწია.

1. ლესტერის კოდექსი

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ხელნაწერი ლესტერის კოდექსია. ეს არის ერთგვარი ჩანაწერების წიგნი, რომელშიც ლეონარდო და ვინჩი 1506–1510 წლებში, მილანში ცხოვრებისას თავის აღმოჩენებსა და შენიშვნებს ინიშნავდა. მანუსკრიპტი 18 ქაღალდისგან შედგება, რომლის ორივე მხარეს ნაწერებია. ტექსტი განსაკუთრებული, ლეონორდოსთვის ჩვეული „სარკისებრი" სტილითაა დაწერილი. მათი წაკითხვა მხოლოდ სარკის მეშვეობითაა შესაძლებელი. მასში განხილულია ყველა ის შეკითხვა, რომელიც და ვინჩის აწუხებდა: რატომ ანათებს მთვარე, საიდან და რატომ ჩაედინება წყალი მდინარეებში, რისგან შედგება მინერალები.

წიგნი 1994 წელს ბილ გეითსმა 30.8 მლნ ევროდ შეიძინა.

მომზადებულია mostinterestingfacts.com–ის მიხედვით.

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის
თანამშრომელთა ერთი ჯგუფი 1928 წ.

საქართველოს სახემწიფო საჯარო ბიბლიოთეკის
თანამშრომელთა შეხვერდა ერევნელ კოლეგებთან.